გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

# აჭარა

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№24 (25.048) სამშაბათი, 7 - 10 მარტი, 2023 წ. 50 თეთრი

## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდამთიან რაიონებში - 5-10, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფება. როგორც გამოფენის მასპინძელი ქვეყნის მეთაურმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, „ITB Berlin 2023“ ოფიციალურად გახსნა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. ცერემონიაში მონაწილეობდნენ გერმანიის ვიცე-კანცლერი, ეკონომიკური საქმეების მინისტრი და ბერლინის მერი. ტურისტული გამოფენა „ITB Berlin 2023“ 7-9 მარტს გაიმართება.

* * *

პარლამენტი ე.წ. უცხო ქვეყნის გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტების განხილვას დაუბრუნდა. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტების პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვა გუშინ ხმაურის ფონზე წარიმართა. პარლამენტის შენობასთან მისულმა ადამიანებმა „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტები გააპროტესტეს. ადგილზე მათ მიტანილი ჰქონდათ ბანერები, ევროკავშირისა და საქართველოს დროშები და სკანდირებდნენ: „არა რუსულ კანონს“.

* * *

ამერიკულ კანონს, რომელსაც იურიდიულ კომიტეტზე განვიხილავთ, საზოგადოებაში მხარდაჭერა ექნება, რადგან მოქალაქეები გაიგებენ, დაინტერესების შემთხვევაში, როგორ შეძლებენ ინფორმაციის მიღებას, რომელი არასამთავრობო სექტორი საიდან ფინანსდება, - განაცხადა „ხალხის ძალის“ ლიდერმა გურამ მაჭარაშვილმა. მისი თქმით, რადიკალური ოპოზიცია კარგად გრძნობს თავს იქ, სადაც არის დესტრუქცია, ფიზიკური დაპირისპირება, სადაც არ არის განხილვა და საზოგადოებასაც დესტრუქციისკენ მოუწოდებენ.

* * *

საქართველოში აკრედიტებული 26 უნივერსიტეტის 200-ზე მეტმა პროფესორ-მასწავლებელმა და მეცნიერმა თანამშრომელმა საქართველოს პარლამენტის წევრებს მოუწოდა, უარი თქვან ე.წ. უცხოური გავლენის აგენტის შესახებ კანონპროექტისთვის მხარდაჭერაზე. განცხადებაში ნათქვამია, რომ კანონპროექტი, რომელსაც ახლა პარლამენტში განიხილავენ, არ მოქმედებს ევროპის არცერთ ქვეყანაში და აზიანებს საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

მოამზადა
ია შველიძემ



# ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს!

# საქართველო – ბერლინის გამოფენის მასპინძელი

**ხატია იაშვილი 555 18 48 88**

*ბერლინის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა **ITB Berlin**-ი ოფიციალურად გაიხსნა. სასიხარულოა, რომ საქართველო მასში მასპინძელი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობს. გამოფენაზე ქვეყნის მთავარი გზავნილია „უსაზღვრო სტუმართმასპინძლობა“. საქართველოს საშუალება აქვს, ტურისტული პროდუქტები გააცნოს გამოფენის 200 ათას ვიზიტიორს, მათ შორის, 100 ათას ბიზნესვიზიტიორს და გამოფენის მრავალმილიონიან სატელევიზიო მაყურებელს.*

მასპინძლის სტატუსის მინიჭებით, საქართველო საერთაშორისო მედიაკამპანიებშია ჩართული, რაც ონლაინ, სატელევიზიო, რადიო და ბეჭდურ მედიას მოიცავს. „საქართველო მსოფლიოში გამორჩეულია ბუნებით, ეს არის ქვეყანა, რომელიც ძალიან კარგად იციან, მაგრამ მაინც აღმოუჩენელია მისი იდუმალი სამყარო. სწორედ ამიტომ შეირჩა საქართველო და ვფიქრობ, ბერლინის გამოფენაზე იგი დიდ ნახატს შექმნის, რომელიც განთავსდება მსოფლიო სცენაზე, ჩვენ ვიხილავთ საქართველოს უდიდეს ტურისტულ პოტენციალს“, - აცხადებს ITB Berlin-ის გამოფენის დირექტორი დევიდ რუთსი.

„თუ გსურთ, არამხოლოდ ხინკალი გასინჯოთ, არამედ ისწავლოთ ამ გემრიელი ქართული კერძის მომზადება, აუცილებლად ეწვიეთ ბერლინის გამოფენაზე საქართველოს სტენდს“, - ასეთი ინფორმაცია ვრცელდება სოციალურ მედიაში ქართული კულინარიის შესახებ.

საქართველოს, როგორც ITB Berlin 2023-ის მასპინძელ ქვეყანას, არამარტო კულინარია, არამედ სათავგადასავლო პოტენციალიც აქვს წარმოდგენილი ცალკე დამოუკიდებელ სტენდზე. ვიზიტიორები საქართველოს სათავგადასავლო ტურისტულ ადგილებსა და ეროვნულ პარკებს ვირტუალურ რეალობაში იხილავენ. ღვინისა და საკვები პროდუქტების მიმართულებით ქართული ტურიზმის სექტორში მოღვაწე მცირე და საშუალო მწარმოებლები სტენდთან მისულ სტუმრებსა და პარტნიორებს ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტის ბენეფიციარების პროდუქტებს აცნობენ. წარმოდგენილია კახეთისა და იმერეთის ავთენტური ტურიზმის კლასტერის წევრთა პროდუქცია, ათი სხვადასხვა სახეობის ქართული ორგანული ჩაი, ქართული ხორბლის ჯიშებისგან (წითელი დოლი და დიკა) მომზადებული ხემსი, არტიზანული ყველი და ჯემები. სივრცეში მისულ სტუმრებს საშუალება აქვთ დააგემოვნონ ნატურალისტი მეღვინეების მიერ იშვიათი ჯიშებისგან დამზადებული ღვინო. ITB Berlin-ის სათავგადასავლო დარბაზში საქართველო დონორ ორგანიზაციებთან ერთადაა წარმოდგენილი. ესენია: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და ევროკავშირის წარმომადგენლობა, შვედეთის საელჩო და ავსტრიის განვითარების სააგენტო პროექტ GRETA-ს ფარგლებში, ასევე, საქართველოს ტურიზმის, ტუროპერატორთა და ეკოტურიზმის ასოციაციებთან და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად.

გალა გახსნაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს კულტურა და ეთნიკური მრავალფეროვნება. გახსნის შოუ ქართული ხელოვნების შედევრებსა და სხვადასხვა ტიპის ჟანრს მოიცავდა. ეს იყო ეთნო, ჯაზი, კლასიკური და ელექტრომუსიკა... საზეიმო კონცერტზე მაყურებლის წინაშე წარსდგნენ მსოფლიოში ცნობილი ქართული ეროვნული ბალეტი „სუხიშვილები“, ანსამბლი „რუსთავი“ ტრადიციული პოლიფონიური სიმღერებით, საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და მისი ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაჭველი, მსოფლიოში ცნობილი სოპრანო ნინო მაჩაიძე, ვირტუოზი პიანისტი დუდანა მაზმანიშვილი, მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი, კომპოზიტორი დათო ევგენიძე, მუსიკოსი ნიკა მაჩაიძე.




ბერლინის ტურისტულ გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან, თბილისის მერიასთან, ტურისტულ ასოციაციებთან, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციებთან, 44 ტუროპერატორთან და 23 სასტუმროსთან, ჯამში, 80-მდე ორგანიზაციასთან და კომპანიასთან ერთად არის წარდგენილი.

ITB Berlin-ი 1966 წლიდან იმართება. 2019 წელს, მსოფლიო პანდემიამდე ITB Berlin-მა მსოფლიოს 181 ქვეყნიდან გამოფენის 10 ათას მონაწილეს უმასპინძლა. გამოფენას 160 ათასი სტუმარი ჰყავდა და მედიის 5000-მდე წარმომადგენელი აშუქებდა.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

**ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.**

**გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!**

**ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!**

**წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**

**577 20 43 55.**

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# 6 მარტს საქართველოს პარლამენტში „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტები განიხილა

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

*ე.წ. უცხოური აგენტების კანონპროექტების საკომიტეტო განხილვამ საქართველოს პარლამენტში ხმაურიანად ჩაიარა. იყო სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირებაც*

მანდატურებმა დარბაზი რამდენიმე ოპოზიციონერს დაატოვებინეს, მათ შორის ლევან ხაბეიშვილს, გიორგი ბოტკოველს, სალომე სამადაშვილს, ხათუნა სამნიძეს, თამარ კორძაიასა და თაკო ჩარკვიანს. ოპოზიციის თქმით, განსხვავებული აზრის მქონეებს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე არ ალაპარაკებდა. პარალელურ რეჟიმში პარლამენტთან საპროტესტო აქცია - „არა რუსულ კანონს“ მიმდინარეობდა. პროტესტს ბათუმშიც შეუერთდნენ და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ახალგაზრდები „რუსული კანონის“ წინააღმდეგ შეიკრიბნენ. აქციის მონაწილეები შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და სტუდენტებს მიმართვდნენ, ღიად დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

- ბათუმელმა ახალგაზრდებმა დავაფუძნეთ მოძრაობა „კონსტიტუციის 78-ე მუხლი“. გადავწყვიტეთ, მიმართვა შეგვედგინა რექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისადმი. გვაინტერესებს, ერასმუსის გაცვლითი პროგრამით მოსარგებლე სტუდენტები არიან თუ არა აგენტები, ასევე - პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც გაცვლითი პროგრამით უსარგებლიათ. ჩვენ ვიწყებთ მოძრაობას „არა რუსულ კანონს“, „ამოიღე ხმა“. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ევროპული ინტეგრაციისთვის, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამის საწინააღმდეგოს ჩადის. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, დავიცავთ ქვეყნის ინტერესებს, - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილე გიორგი ნაგერვაძემ.

„იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტი მოძრაობა „ხალხის ძალის“ კანონპროექტს დაამტკიცებს, არასამთავრობო ორგანიზაციები შეწყვეტენ ფუნქციონირებას, ასევე, არ იარსებებს თავისუფალი მედიაც“ - ასეთია აჭარაში მესამე სექტორის პოზიცია. გაზეთ „აჭარასთან“ საუბარში მათ თქვეს, რომ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, მედიისა და სხვადასხვა ორგანიზაციის შემდეგ საფრთხე ბიზნესსაც დაემუქრება, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის დამანგრეველი იქნება. სანამ პარლამენტში საკითხის განხილვისას ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება მიმდინარეობდა, აჭარაში მოქმედმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, ჟურნალისტებმა და აქტივისტებმა საქართველოს პარლამენტში რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატებისადმი მიმართვა გაავრცელეს.

- გადაწყვეტილების მიღებამდე დაფიქრდით, არ დაუჭიროთ მხარი რუსულ კანონს, არ შეაჩეროთ ქვეყნის განვითარება, არ შეუქმნათ საფრთხე საქართველოს ევროპულ მომავალს. ნუ დაეხმარებით ქვეყანაში სამოქალაქო სექტორისა და მედიის ჩარჩოებში მოქცევას. არასამთავრობო ორგანიზაციები ყველა მიმართულებით ვმუშაობთ, ეს კანონი ყველას შეგვეხება, პრობლემების გამხმოვანებლები არიან მედიასაშუალებები, რომლებიც დონორების დაფინანსების საშუალებით ახერხებენ მუშაობას. თუ რამ კარგი კეთდება, ეს უცხოური დაფინანსების დახმარებით ხდება. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი მედია ქართული საზოგადოების ნაწილია, რომლებიც ადამიანის უფლებებს იცავენ, მხარს უჭერენ დემოკრატიას და სოციალური საკითხების მოგვარებაში გვეხმარებიან. ეს ჩვენს რეგიონშიც უამრავ ადამიანს უგრძვნია. გვინდა, ისევ გავაგრძელოთ კარგი საქმეების კეთება, საქართველოს განვითარებაში წვლილის შეტანა. მოგმართავთ, არ დაუჭიროთ მხარი რუსულ კანონს, არ უთხრათ უარი საქართველოს განვითარებას - ნათქვამია მიმართვაში.

საკითხთან დაკავშირებით არ წყდება ფეისბუქპოსტები მოქალაქეების, პოლიტიკოსების, მესამე სექტორის წარმომადგენლების მხრიდანაც.

„თუ ვინმე დამრჩით სანაცნობოში, სანათესაოში, ვინც ჯერ კიდევ ვერ ხვდებით, რა კანონპროექტია, ან ეს რატომ უნდა გვაღელვებდეს თითოეულ მოქალაქეს, მზად ვარ, პირადად აგიხსნათ, რაა მისი მთავარი მავნებლობა ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლისთვის“, - წერს ა/ო „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი ნინო ჩხაიძე. „ამ მოძალადე ხაზარელის შვილები ამერიკაში რატომ ცხოვრობენ?კალაძეს ბიზნესი და რესტორნები რატომ აქვს იტალიაში?! ხოლო, ყაველაშვილს - ანგარიშები შვეიცარიის ბანკში?! ანუ ჩვენ კრასნოდარში უნდა ვიცხოვროთ და თავად ეიფელებზე ისაუზმონ?!“ - წერს სოციალურ ქსელში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ბონდო თედორაძე.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 6 მარტს „ხალხის ძალის“ მიერ მომზადებულ ორ კანონპროექტზე იმსჯელა. პირველი, ეს არის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და მეორე - „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტები.

# სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე იმსჯელეს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*სკოლამდელი ასაკის ბავშვების, სკოლის მოსწავლეების, განსაკუთრებით სსსმ მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა მადლობა გადაუხადა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს საქართველოში ღასან ხალილს, რომელსაც უწყებაში უმასპინძლა*



მინისტრმა ასევე აღნიშნა პანდემიის პერიოდში გაეროს ბავშვთა ფონდის ჩართულობა და მხარდაჭერა, პირადად ღასან ხალილის წვლილი ამ პროცესში და მას მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა. აღინიშნა, რომ ჩატარდება საერთაშორისო კონფერენცია „ადრეული განათლება და ზრუნვა 2023“, ასევე, მეორე საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „თამაში: ხარისხიანი ადრეული განათლებისა და ზრუნვის საფუძველი“. იგი 8 და 9 ივნისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს აკადემიურ დისკუსიასა და ცოდნის გაზიარებას ადრეული განათლებისა და ზრუნვის ხარისხის, წვდომისა და ინკლუზიის საკითხებზე.

მაია ხაჯიშვილი და ღასან ხალილი დაბა ქედის ვახტანგ პაპუნიძის სახელობის საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების ცენტრს ეწვივნენ. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობის პროგრამას აჭარის საჯარო სკოლებში. პროექტის ფარგლებში, ორ მუნიციპალიტეტში: სსიპ „თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის №3 საჯარო სკოლის“ და სსიპ „ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლების“ ბაზაზე, შეიქმნება ინკლუზიური განათლების ცენტრები, რომელიც მომსახურებას გაუწევს თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სსსმ მოსწავლეს სკოლის შემდგომი საგანმანათლებლო და რეკრეაციული აქტივობების შეთავაზების გზით.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დასრულდა ინკლუზიური განათლების ცენტრების რეაბილიტაცია და მიმდინარეობს სივრცეების აღჭურვა საგანმანათლებლო ინვენტარითა და რესურსებით, გადამზადდნენ ინკლუზიური განათლების ცენტრებისათვის შერჩეული სპეციალისტები შემდეგ სასწავლო მოდულებში: სპეციალური პედაგოგიკა - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, განვითარების დარღვევები, ქცევის მართვა. მალე დაიწყება ტრენინგები შემდეგ სასწავლო მოდულებში: კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი, სახვითი ხელოვნების სპეციალისტი და გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი.

# მეწყერი – ბათუმი-ახალციხის გზაზე

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

*მარტის დასაწყისში ნალექების ინტენსიობამ ისევ იმატა*

აჭარის მთიანეთის მთელ ტერიტორიაზე წვიმას თოვლდნობა მოჰყვა. ადიდდა მდინარე აჭარისწყალი და მისი შენაკადები. ხულოს, შუახევისა და ქედის ტერიტორიებზე ზვავები, მეწყრული პროცესები გააქტიურდა.

ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის 94-ე კილომეტრზე, სოფელ ჯვარიქეთის ტერიტორიაზე, თითქმის 200-მეტრიან მონაკვეთზე, მეწყერი 2 მარტს, ღამის საათებში ჩამოწვა, რის გამოც კურორტ გოდერძის მიმართულებით ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დროებით შეიზღუდა. გზის გაწმენდას აქტიურად შეუდგნენ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მექანიზატორები. 4 და 5 მარტს ტრანსპორტი ამ მონაკვეთზე შეზღუდვით გადაადგილდებოდა.

შემთხვევის ადგილზე ხულოს მუნიციპალიტეტისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელები მივიდნენ. ტრანსპორტითა და ქვეითად მიმომსვლელებს სიფრთხილისკენ მოუწოდეს. სპეციალისტები მეწყრების გააქტიურებას ისევ ვარაუდობენ. მეწყრული პროცესები განვითარდა შუახევის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში: ჯაბნიძეებში, ხაბელაშვილებსა და გორში.



ამბები

## შაბათ-კვირის ქრონიკა

შუახევის მერიის ადმინისტრაციული შენობის რემონტისთვის 305 ათასი ლარია გათვალისწინებული. შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი შუახევის მუნიციპალიტეტმა უკვე გამოაცხადა. ტენდერში აღნიშნულია, რომ საჭირო თანხას მუნიციპალიტეტი აჭარის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში გადაიხდის. ტენდერში წინადადებების მიღება 2023 წლის 19 მარტს დაიწყება და 24 მარტს დასრულდება, გამარჯვებულმა კი, სამუშაოები უნდა დაიწყოს „ხელშეკრულების დადებისთანავე და დაასრულოს 150 დღეში“.

* * *

გრძელდება ბიზნესტრენინგი ბათუმში მცხოვრები უკრაინელი ლტოლვილებისთვის. ტრენინგის მონაწილეებს გააცნობენ საქართველოს საგადასახადო სისტემას, ასწავლიან ბიზნესის დაგეგმვას, ბიუჯეტირებას და დაეხმარებიან კიდეც მის წამოწყებაში. ტრენინგის მიზანია, უკრაინელ ლტოლვილებს ადგილზე მიეცეთ ბიზნესის დაწყების, დასაქმებისა და საკუთარი შემოსავლის გაჩენის საშუალება. ტრენინგის შემდეგ ბიზნესპროექტებზე გამოცხადდება კონკურსი უკრაინელი მოქალაქეებისთვის, რომელსაც ევროკავშირი და სხვა დონორი ორგანიზაციები დააფინანსებენ.

* * *

საქართველოს ეროვნული ლიგის მეორე ტურში „დინამო“ ბათუმმა თბილისის „საბურთალოს“ უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა. 32-ე წუთზე შოთა ნონიკაშვილმა დედაქალაქელები წინ გაიყვანა და პირველი ნახევარი „საბურთალოს“ გამარჯვებით დასრულდა. მეორე ნახევრის დაწყებიდანვე, მალევე, გეგუჩაძის გუნდმა ანგარიში გაათანაბრა, სადებიუტო გოლი თორნიკე კაპანაძემ გაიტანა. 7 წუთში ირაკლი ბიძინაშვილმა „დინამო“ წინ გაიყვანა, ხოლო მე-60 წუთზე ფლამარიონმა შეხვედრის საბოლოო ანგარიში 3:1 დააფიქსირა. ორი ტურის თავზე ბათუმელები უდანაკარგოდ 6 ქულით ეროვნული ლიგის ლიდერები არიან. მომდევნო ტურში გეგუჩაძის გუნდი 8 მარტს გორში „დილას“ ეთამაშება.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზაზე, მეხანძრე-მაშველთა მომზადების სასწავლო პროგრამა გრძელდება. სასწავლო კურსის მონაწილეებმა, პროგრამის მიხედვით, შენობა-ნაგებობების ნგრევის ზონაში საძიებო და სამაშველო სამუშაოების ჩატარების მეთოდები შეისწავლეს, ასევე, დაზარალებულის მოძიებისა და მისი ადგილსამყოფლის დადგენის, დანგრეული შენობების კონსტრუქციაში გამაგრება-შეღწევის და დაზარალებულის გამოყვანის, დახრილ ფერდობზე სასიმაღლო-სამაშველო აღჭურვილობის გამოყენებით დაზარალებულის ევაკუაციის მეთოდები დაამუშავეს. ახლად შექმნილი სასწავლო ცენტრი პირველად ატარებს განახლებული საბაზისო პროგრამით სწავლებას, რომელიც სახანძრო-სამაშველო და სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში როგორც მეხანძრე-მაშველების, ასევე, სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლების პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებას უზრუნველყოფს. სწავლების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მეხანძრე-მაშველებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემათ. ცენტრი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ „სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს“ დაქვემდებარებაშია.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძე**

# რუსეთის საკაცობრიო დანაშაული – უკრაინაში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ერთი წელია, რუსეთი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს უკრაინის წინააღმდეგ. ამ ომმა არა მხოლოდ უკრაინა გააერთიანა სამშობლოს დასაცავად, არამედ ევროპა და აშშ დარაზმა აგრესორთან საბრძოლველად. თუ რუსეთზე არ განხორციელდებოდა მძლავრი ზეწოლა, თავსატეხი თავად ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც შეექმნებოდათ, ამიტომაც ამოქმედდა ეკონომიკური სანქციები. დასავლეთი შეძლებისდაგვარად ეხმარება უკრაინას სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში. სწორედ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით* ***პოლიტოლოგ ბელა ირემაძეს.***



**- ექსპერტები აცხადებენ, რომ უკრაინაში, პრაქტიკულად, ცივილიზაციური ომი მიმდინარეობს რუსეთსა და დასავლეთს შორის. ამ მხრივ რა მიზანი ამოძრავებთ როგორც რუსეთს, ისე აშშ-ს უკრაინის მიმართ?**

- ძალიან კარგი კითხვაა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დასავლეთი და მათ შორის რუსეთი იყვნენ გარანტორი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა, მაგრამ რუსეთმა დაარღვია ეს შეთანხმება, მიზანი - ამ ქვეყნის დაპყრობა და დასავლური გავლენის განდევნა პოსტსაბჭოთა სივრციდან. 30 წელია, ეს სახელმწიფო ადგას დამოუკიდებლობის გზას, რომელიც რთული და წინააღმდეგობით სავსეა. „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ მან მკვეთრად ევროპული კურსი აირჩია და რუსეთის აგრესიამაც იმატა. ამ მხრივ აღსანიშნავია 2014 წლის მოვლენები, როდესაც რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა. ძირითადად, რა აქვს რუსეთს უკრაინასთან სადავო? ამ კითხვას ხშირად სვამენ! კრემლისთვის მიუღებელია დასავლური ცივილიზაციის მოახლოება, ანუ დემოკრატიის გავრცელება სამეზობლო სივრცეში - ეს საფრთხეა რუსეთისთვის და აშინებს მას. ასევე უნდა ითქვას, რომ რუსეთს აქვს განსხვავებული ხედვები, ანუ იდეოლოგიურად ამ ქვეყნის შვილები შოვინისტები, იმპერიული აზროვნებით გამსჭვალული, ეკონომიკური თვალსაზრისით დამახინჯებული სოციალიზმის მიმდევრები არიან, ხოლო კაპიტალდაბანდებებს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ახორციელებენ. სწორედ ამ ომმა აჩვენა, რამდენი ტრილიარდი დოლარი ჩამოართვეს რუს მაღალჩინოსნებს სანქციების შედეგად. დასავლეთს სურს, რომ უკრაინა იყოს ძლიერი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანებული ქვეყანა.

**- 2014 წელს რომ დაეწესებინათ რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციები, მსოფლიო უკრაინის ტრაგედიის მომსწრე გახდებოდა?**

- დასავლეთი და ზოგადად, ევროკავშირი თუ გაერთიანებულად იმუშავებდნენ უკრიანის საკეთილდღეოდ, ერთიანი აზრი ექნებოდათ რუსეთთან მიმართებით, შესაძლებელი იყო, რომ ის პრობლემა, რომელმაც 2014 წელს და 2022 წლის თებერვალში იჩინა თავი, არ შექმნილიყო. დასავლეთის მაამებლურმა პოლიტიკამ რუსეთი გაათამამა და წაახალისა აგრესიის გამოსავლენად.

**- ომის ერთმა წელმა რა აჩვენა და ახლა რა ფაზაშია?**

- შიშები იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინა ვერ მოახერხებდა თავის დაცვას და აუცილებლად დამარცხდებოდა, აღარ არის. უკრაინულმა არმიამ გარკვეული ტერიტორიები გაათავისუფლა, მაგალითად, ხარკოვის რეგიონი, ხერსონი... დღეს ევროპა, როგორც არასდროს, ერთიანია უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ძალისხმევა, რომლებიც ცდილობენ, დაიცვან უკრაინის სუვერენიტეტი თავისი ფინანსური, სამხედრო თუ პოლიტიკური მხარდაჭერით. დასავლური დახმარება რომ არა ომამდე და ომის პირველივე დღეებში, დღეს უკრაინაში სხვა სიტუაცია იქნებოდა. ახლა ძირითადი ბრძოლები დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში მიმდინარეობს, უკრაინული არმია ფიტავს რუსულ არმიას ბახმუტში. გარდა ამისა, უკრაინელთა გადაიარაღება დაჩქარებული წესით მიმდინარეობს, რაც უკრაინის საბოლოო გამარჯვების წინაპირობაა.

**- როგორც გაცხადდა, მოსკოვში ამასწინათ იმყოფებოდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელი უილიამ ბერნი, რომელმაც გააფრთხილა კრემლი ატომური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, ამ მხრივ რას უნდა ველოდოთ რუსეთის პრეზიდენტისგან?**

- საერთოდ, რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი, თუმცა არა მგონია, მსოფლიო ბირთვული საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, რადგან თუ რუსეთი უკრაინის მიმართ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, ამას მსოფლიო თანამეგობრობა ურეაქციოდ არ დატოვებს. კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ-მა და ჩინეთმა რუსეთისგან მიიღეს გარანტია ბირთვული იარაღის გამოუყენებლობის შესახებ, თუმცა, როგორც გითხარით, კრემლის მმართველისგან ყველაფერია მოსალოდნელი. აქვე არანაკლებ მნიშვნელოვან გარემოებაზე მსურს თქვენი ყურადღების გამახვილება: დღეს ჩვენ მესამე მსოფლიო ომის თანამონაწილეები ვართ. დღეს საერთაშორისო არენაზე მიმდინარეობს მსოფლიოს ახალი გადანაწილება, ასე იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროსაც. რა შეუძლია რუსეთს, ვნახეთ. ამ ქვეყნასთან დაკავშირებით მითები დაინგრა. დღეს რუსეთი არ წარმოადგენს მთავარ აქტორს მსოფლიო პოლიტიკაში, როგორც მოიაზრებოდა თუნდაც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში.

**- ამ დრომდე ჩინეთი რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით ნეიტრალიტეტს იცავდა, ხომ არ არის მოსალოდნელი, პეკინმა მოსკოვს სამხედრო დახმარება გაუწიოს და ამ შემთხვევაში როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია?**

- ჩინეთის კაპიტალი იმდენად ფართოდაა დაბანდებული ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, არა მგონია, დასავლეთის საწინააღმდეგო ქმედებები განახორციელოს. აქ საუბარია ლოჯისტიკაზე, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე. ვაჭრობის საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთის ხელისუფლებას გაუჭირდება რუსეთს ღია დახმარება გაუწიოს სამხედრო შეიარაღებით, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ პეკინმა ფარულად შეძლოს დახმარება, შეიძლება დღემდე ახორციელებს რაღაც ქმედებას, თუმცა სრულკალიბრიან შეიარაღებას (დრონები, ჯავშანტრანსპორტიორები, ავიაცია და ა.შ.) ჩინეთი რუსეთს ღიად არ გადასცემს, რადგან მაშინ მის მიმართ ამოქმედდება ეკონომიკური სანქციები. ვფიქრობ, ჩინეთს არ უღირს რუსეთთან აშკარა ალიანსი.

**- ამერიკელმა პოლიტოლოგმა რამის იუნუსმა განაცხადა, რომ დღესდღეობით მსოფლიოში ორი ძირითადი მოთამაშეა - აშშ და ჩინეთი, ანუ მსოფლიო ორპოლუსიანია?**

- გარკვეულწილად, მსოფლიო მრავალპოლუსიანია, თუმცა უმთავრესი აქტორები აშშ და ჩინეთია, ეს უდავოა. როგორც გითხარით, რუსეთის უძლეველობის მითი დაიმსხვრა, ეს ქვეყანა საკაცობრიო დანაშაულს სჩადის უკრაინაში, ამის მაგალითია თუნდაც ბუჩას ტრაგედია, ათასობით დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქე... ეს არა მხოლოდ პუტინის, არამედ ზოგადად, რუსული საზოგადოების, რუსეთის მოქალაქეების პრობლემაა, ისინი იმპერიული სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი, ვერ წარმოუდგენიათ ეს ქვეყანა იმპერიის გარეშე. მათ კარგად უნდა გააანალიზონ, საერთაშორისო თანამეგობრობა არ არის საფრთხის შემცველი, ანუ დასავლეთის მიზანი არ არის რუსეთის დაშლა, არამედ - ეს ქვეყანა იყოს ცივილიზებული, დემოკრატიული და საერთაშორისო სამართლის დამცველი. სამწუხაროდ, ოცი წელია, რუსეთი აგრესიული პოლიტიკის მიმდევარია, განახორციელა აგრესია საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ, აწარმოა ომი სირიაში და ა.შ. თუმცა დღესდღეობით რუსეთი არ არის წონიანი მოთამაშე. პუტინი ცდილობს მას ანგარიში გაუწიონ, დასთანხმდნენ მის მოთხოვნებს გავლენის სფეროების დაკანონების თვალსაზრისით, რასაც დასავლეთი არ აპირებს.

**- „ეს იყო ტკივილის, დარდის და ერთიანობის წელი... ვიცით, რომ ეს იქნება ჩვენი გამარჯვების წელი“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ, რამდენად მოსალოდნელია წელს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია?**

- ვფიქრობ, რომ უკრაინის პრეზიდენტის გზავნილები სამხედრო და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისთვის სწორია, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია უახლოეს მომავალში შეუძლებლად მიმაჩნია. ისე, ღმერთმა ქნას, რომ უკრაინულმა არმიამ წელს გაათავისუფლოს დონეცკის რეგიონი და ყირიმი. 2023 წელი გადამწყვეტი იქნება უკრაინის სახელმწიფოსთვის და ზოგადად, საერთაშორისო წესრიგის ფორმირებისთვის.

**- რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა შედეგი გამოიღო - ასე ამბობენ ანალიტიკოსები, რამდენად ელოდა კრემლი ამ მასშტაბის სანქციებს და ასევე უკრაინის მხარდაჭერას დასავლეთის მხრიდან?**

- სანქციები მუშაობს, რუსეთმა უკვე ათეულობით მილიარდი დოლარი იზარალა და ეს მხოლოდ დასაწყისია. იგი არ მოელოდა მსოფლიოსგან ამგვარ ერთიანობას. ვფიქრობ, მეტი ზეწოლა არის საჭირო იგივე ნავთობპროდუქტებისა და ნედლეულის გადანაწილებასთან დაკავშირებით, ანუ რუსეთის ეკონომიკას ჟანგბადი უნდა შეუმცირდეს. სხვათა შორის, არსებულმა სანქციებმა სერიოზული ზეგავლენა მოახდინა რუსეთის საზოგადოებაზე, არაერთი რუსი მოქალაქის საპროტესტო განწყობა დაფიქსირდა, თუმცა ისეთი არა, ზეგავლენა რომ მოახდინოს კრემლის პოლიტიკაზე. მთელი მსოფლიო ეუბნება მათ, რომ ოკუპანტები არიან და თუ მათი ქვეყანა გააგრძელებს აგრესიულ პოლიტიკას, ანუ არ შეწყვეტს ომს, მაშინ რუსეთი სრულ იზოლაციაში მოექცევა.

**- რუსეთი მაინც ემუქრება დასავლეთს...**

- დასავლეთის სახელმწიფოებთან ღია კონკურენციაში რუსეთი აშკარად მარცხდება. ეკონომიკური კრახის წინაშე მდგომ რუსეთს პოლიტიკური სტაბილურობისთვის, მოჩვენებითი დიდების შესანარჩუნებლად და ეკონომიკური სიდუხჭირის გასამართლებლად, შიდა მოხმარების მითი სჭირდება, ანუ მტრის ხატი. ნატო, მათი აზრით, უპირველესი „მტერია“, არადა, რუსეთს არავინ ესხმის თავს, პირიქით, ეს ქვეყანა ახორციელებს აგრესიას მეზობლების მიმართ.

**- „შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად დაადგინა, რომ რუსეთმა ჩაიდინა დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ... მე ვეუბნები ყველას, ვინც ჩაიდინა ეს დანაშაული, თქვენ პასუხისგებაში მიეცემით“, - განაცხადა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა კამილა ჰარისმა, თქვენი პროგნოზი როგორია?**

- აუცილებლად მოხდება დამნაშავე გენერლების, როგორც მინიმუმ, სიის გადაცემა ჰააგის სასამართლოში. მოახდენენ თუ არა ამ პიროვნებების ექსტრადირებას, გამიძნელდება თქმა, მაგრამ ვიტყვი, რომ ისინი იქნებიან სრულ იზოლაციაში, მათ უცხოეთში გადაადგილების კუთხით შეზღუდვა ექნებათ და დაუწესდებათ სერიოზული საერთაშორისო სანქციები. არ გამოვრიცხავ არა მხოლოდ სამხედრო ფიგურების პასუხისგებაში მიცემას, არამედ იგივე პოლიტიკოსების გასამართლებასაც და ეს შესაძლებელია ძალიან მაღალი ჩინოსანიც იყოს. დღეს პუტინი არის ჩვეულებრივი საერთაშორისო დამნაშავე, რომელმაც არაერთი უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ამის მკაფიო მაგალითებია.

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ არ არის გამორიცხული მოსკოვმა ახალი იმპერიული გაერთიანება შექმნას რუსეთის, ბელორუსის, საქართველოს და მოლდოვას ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით, რას ფიქრობთ?**

- რუსეთისგან არაფერია გამორიცხული, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ის ახალ ავანტიურას განახორციელებს, რთულია. ჩვენ დიდი დაკვირვება გვმართებს იმ გამოწვევებიდან გამომდინარე, რაც რუსეთისგან მომდინარეობს, მას მეზობელს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

> ***„ ჩინეთის კაპიტალი იმდენად ფართოდაა დაბანდებული ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, არა მგონია, დასავლეთის საწინააღმდეგო ქმედებები განახორციელოს. აქ საუბარია ლოჯისტიკაზე, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე. ვაჭრობის საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთის ხელისუფლებას გაუჭირდება რუსეთს ღია დახმარება გაუწიოს სამხედრო შეიარაღებით***

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

ეუთო მზად არის, მხარი დაუჭიროს რუსეთისა და უკრაინის სამშვიდობო მოლაპარაკებებს, - განაცხადა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰელგა მარია შმიდმა. მან გაიხსენა გერმანიის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის სიტყვები, რომელიც ჩინეთის მიერ წარმოდგენილი „სამშვიდობო გეგმის“ საპასუხოდ მოსკოვისა და კიევის მონაწილეობით მოლაპარაკების გამართვის მოწოდებით გამოვიდა. „მე შემიძლია, დავეთანხმო გერმანიის პრეზიდენტს და დავამატო, რომ ეუთო ასევე შეიტანს ამაში საკუთარ წვლილს“, - განაცხადა ჰელგა მარია შმიდმა. მისივე თქმით, თავის დროზე, რუსეთმა არჩევანი არა დიალოგის, არამედ ომის სასარგებლოდ გააკეთა.

* * *

აშშ-ის ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ იგი შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატია, რომელიც უკრაინაში ომის დასრულებას და მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილებას შეძლებს. ამის შესახებ მან „რესპუბლიკური პარტიის“ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. როგორც ცნობილია, ტრამპი 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადება.

* * *

ბირთვულ ობიექტებზე ინსპექტირება ამიერიდან რეგულარულად ჩატარდება. აღნიშნულის თაობაზე ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელმა რაფაელ გროსიმ განაცხადა. მან თეირანში ვიზიტი და ატომური ობიექტების ინსპექტირება დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ბირთვული ობიექტების ნაწილზე ინსპექტირების ჩატარების ნებართვა გაეროს სააგენტოს თეირანმა ცოტა ხნის წინ მისცა.

* * *

ჩინეთი მიმდინარე წელს სამხედრო ხარჯებს 7.2%-ით გაზრდის. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ქვეყანა რეალურად იმაზე მეტს ხარჯავს თავდაცვაზე, რასაც ოფიციალურად აცხადებს. პეკინის სამხედრო ბიუჯეტი დაახლოებით, 225 მილიარდი აშშ დოლარი იქნება, რაც შეერთებული შტატების ბიუჯეტზე ოთხჯერ ნაკლებია. „ჩინეთის ჩახშობისა და შეკავების გარე მცდელობები ესკალაციას განიცდის, შეიარაღებულმა ძალებმა უნდა გააძლიერონ სამხედრო წვრთნა და მზადყოფნა“, - განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ლი კეციანმა.

* * *

ისრაელში მთავრობის მიერ ინიცირებული სასამართლო სისტემის რეფორმას კვლავ აპროტესტებენ. 200 ათასზე მეტი ადამიანი თელ-ავივში გამოვიდა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცველებს შორის დაპირისპირება მოხდა. დაკავებულია პროტესტის რამდენიმე მონაწილე.

* * *

რუსეთი ექვს ქვეყანასთან გამარტივებული სავიზო რეჟიმის შესახებ შეთანხმებებს ამზადებს. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ევგენი ივანოვის თქმით, რუსეთი სავიზო რეჟიმის ინდოეთთან, ანგოლასთან, ვიეტნამთან, ინდონეზიასთან, სირიასთან და ფილიპინებთან გამარტივებაზე მუშაობს.

**მოამზადა ია შველიძე**

# როცა ბავშვი გიყვარს...

**ხატია იაშვილი 555 18 48 88**

*ჩვენი გაზეთის სტუმარი მეტყველების თერაპევტი* ***მარიამ ვასაძეა.*** *ბევრისთვის ეს სახელი და გვარი უკვე ნაცნობია იმის მიუხედავად, რომ ქალბატონი მარიამი ამ პროფესიით არცთუ ისე დიდი ხანია, რაც მუშაობს. ყოფილმა პედაგოგმა პანდემიის პერიოდში ახალ სფეროში გადაწყვიტა ძალების მოსინჯვა და წარმატებასაც მიაღწია. დღეს იგი „ირმა ხვიჩიას რეაბილიტაციის ცენტრში“ მუშაობს.*

**- ქალბატონო მარიამ, უპირველესად, ჩვენს მკითხველს გააცანით თავი.**

- 2010 წელს წარჩინებით დავასრულე ახალშენის №1 საჯარო სკოლა. 2011 წელს ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაწყებითი პედაგოგის ფაკულტეტზე. ამ დროის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა კონფერენციაში და არაერთი წარმატებული რეფერატული ნაშრომისთვის გადმომეცა სერტიფიკატები და დიპლომები. 2015 წელს წარმატებით დავამთავრე უნივერსიტეტი და მომენიჭა ბაკალავრის ხარისხი. 2017 წელს მუშაობა დავიწყე მოსამზადებელ ცენტრ „თი-ექს-ჯი ბათუმში“ დაწყებითი პედაგოგის პოზიციაზე. ოთხწლიანი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, გადმომეცა სერტიფიკატი, როგორც წინა სასკოლო მოსამზადებელი ჯგუფის და სასკოლო ჯგუფების მშრომელ და წარმატებულ პედაგოგს. 2021 წელს გავიარე ტრენინგი „ბიზნესსისტემაში არსებული ლოგოპედიის“, ასევე, ზოგადი ბავშვთა ფსიქოლოგიისა და ინკლუზიური განათლების შემსწავლელი კურსები. წარჩინებით დასრულებისათვის გადმომეცა უმაღლესი კატეგორიის ორენოვანი სერტიფიკატი. 2022 წელს, საგანმანათლებლო ცენტრ „ლოგოსში“ გავიარე ლოგოპედიის - მეტყველების თერაპევტის სრული კურსი და მომენიჭა უმაღლესი კატეგორია ლოგოპედიის დარგში. 2022 წლის 5 აპრილს, მუშაობა დავიწყე „ირმა ხვიჩიას რეაბილიტაციის ცენტრში“ - მეტყველების თერაპევტად, ამავე წელს თბილისში გავიარე ენისა და მეტყველების თერაპიისა და ლოგოპედიის 60-საათიანი ტრენინგ-კურსი, მონაწილეობა მივიღე და წარჩინებით დავასრულე ენისა და მეტყველების თერაპიისა და ლოგოპედიის 35-საათიანი სასწავლო პრაქტიკული კურსი.

**- წარმატებულმა პედაგოგმა რატომ გადაწყვიტეთ ლოგოპედობა?**

- დღეს მსგავსი სახის პრობლემებმა მეტად იჩინა თავი საზოგადოებაში, ამიტომაც ავირჩიე ლოგოპედობა, მომავალ თაობას დავეხმარები მეტყველების დაწყებასა და მის სწორად ფორმირება-განვითარებაში, მით უმეტეს, რომ ჩემს სპეციალობასთან - პედაგოგიკასთან, პირდაპირ კავშირშია.

**- რთულია მსგავსი პრობლემის ბავშვებთან მუშაობა?**

- როცა ბავშვი გიყვარს, რთული და დაუძლეველი არაფერია. თუმცა გვხვდება დაბრკოლებებიც, რომელიც შედეგის მიღწევას საკმაოდ ართულებს. ეს არის ქცევითი ნორმის დარღვევა, სმენის, ყურადღების, კომუნიკაბელურობის ნაკლებობა/დარღვევა, ნევროლოგიური პრობლემები. ჯერ ქცევის, სმენისა და ყურადღების პრობლემის გადაჭრის გზებზე ვმუშაობთ, უფრო სწორად, მუშაობს ფსიქოლოგი და შემდეგ ერთვება მეტყველების თერაპევტი, არის შემთხვევა, როცა პარალელურ რეჟიმში ვმუშაობთ, გააჩნია, რა და როგორი სახის სირთულე აქვს პაციენტს.

**- რა ასაკიდან შეიძლება მშობელი მიხვდეს, რომ მის შვილს ლოგოპედი სჭირდება?**

- ზოგადად, როდესაც ბავშვი იბადება, სწორი განვითარების დინამიკას უნდა მიჰყვებოდეს, ამ განვითარებაში მშობელს არ უნდა გამოეპაროს არცერთი წვრილმანი. დავიწყოთ იქიდან, რომ ბავშვის ფსიქიკური განვითარება იწყება დაბადების პირველივე დღეებიდან. მისი მეტყველების ჩამოყალიბების პროცესი დამოკიდებულია ნორმალურ სამეტყველო გარემოზე, აღზრდასა და განვითარებაზე. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი განვითარების პერიოდს. 0-დან 6 თვემდე, რომელიც ითვლება მეტად მგრძნობიარე პერიოდად. პირველ სენსიტიურ ფაზაში, ერთი თვის ბავშვი ტუჩების წინ წამოწევით ან გაღიმებით რეაგირებს ნაცნობ, ალერსიან ხმაზე. საინტერესო ფაქტია, რომ ბავშვი ადამიანის ხმაზე უფრო სწრაფად რეაგირებს, ვიდრე მჟღერ სათამაშოებზე. 1-თვიდან 3-თვემდე ბავშვი აქტიურად რეაგირებს მხედველობით და სმენით გამღიზიანებლებზე, სტაბილიზდება ღიმილი. 3-თვის ასაკში იწყებს სიცილს, გამოსცემს ბგერებს. ამ პერიოდში სამეტყველო აპარატი აქტიურად ემზადება ბგერების წარმოთქმისთვის, მეტყველების პირველი სახმო რეაქციებია ტირილი, ყვირილი, ზოგიერთი ხმოვნის წამოყვირება და ღუღუნი. 4-თვის ასაკში ყალიბდება ტაქტილური შეგრძნებები. ბავშვი თითებით სინჯავს და ხელს ავლებს საბნის კიდეებს. 6 თვის ბავშვის ნორმალური ფსიქო-



კური განვითარების მაჩვენებელია დედის ცნობა, ნაცნობი და უცნობი ადამიანების გარჩევა. ამ ასაკში ხდება სათამაშოზე ფიქსაცია და თვალის გაყოლება მის მოძრაობაზე, ხელის გაწვდენა, წავლება და პირში ჩადება. ამ მოძრაობებს თან უნდა ახლდეს ემოციური რეაქციები: გაღიმება, სახის შეჭმუხვნა, მოღუშვა. ამ ასაკში ინტენსიურად ვითარდება სახმო რეაქციები. ღუღუნისას ჩნდება ახალი ხმოვნები და თანხმოვნები. ბავშვი იწყებს ხმის ტონის ვარირებას, ტიტინს. შეიმჩნევა საარტიკულაციო ორგანოების ხშვა, ტიტინი თანდათან მდიდრდება ახალი ბგერებითა და მარცვალთა რიგით: ბა-ბა-ბა, ტა-ტა-ტა, და-და-და და სხვა. ასე რომ, ბავშვის ღუღუნი და ტიტინი ჯანმრთელი მეტყველების საფუძველია, რომელიც თვალთახედვის არედან არ უნდა გამოგვრჩეს. 9-თვის ბავშვი იწყებს უფროსებთან ჟესტებით ურთიერთობას. იწევს ხელებს საგნებისა და მშობლებისაკენ, რაც გამოხატავს თხოვნას, მიაწოდონ საგანი ან აიყვანონ ხელში. ამ პერიოდში ბავშვის ჯანსაღი მეტყველების და ფსიქიკური განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია აქტიური ტიტინი. საარტიკულაციო აპარატი ამ პერიოდში იწყებს აქტიურ ფუნქციონირებას, ამიტომ ტიტინს დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შემდგომი ფორმირებისათვის, რომელიც მშობლებს არ უნდა გამოგვეპაროს. გოგონები მეტყველებას იწყებენ 8-9 თვიდან, ბიჭები - 1 წლიდან ან მოგვიანებით. 1 წლის ბავშვის ლექსიკური მარაგი უნდა შეადგენდეს 2-3 სიტყვიდან 10-15 სიტყვამდე. ყველა ის საგანი, რომელიც იპყრობს ბავშვის ყურადღებას, უნდა დასახელდეს ხმამაღლა, მკაფიოდ. წლინახევრის ასაკში ბავშვის აქტიური ლექსიკონი შეიცავს დაახლოებით 50-70 სიტყვას. 2 წლის ბოლოსთვის ბავშვის ლექსიკური მარაგი უნდა შეადგენდეს 100-დან 300 სიტყვამდე. ამიტომ, წლინახევრიდან ან ორი წლისათვის ბავშვის ლექსიკური მარაგი თუ ამ ციფრების შუალედში არ ექცევა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას მეტყველების თერაპევტი ესაჭიროება, თუმცა უმნიშვნელოვანესია, ბავშვი ნევროლოგს ვაჩვენოთ. 3-4 წლის ბავშვის აქტიური ლექსიკონი უნდა შეიცავდეს 1500-მდე ან ცოტა მეტ სიტყვას. 5 წლის ბავშვის ლექსიკური მარაგი ივსება 2500-დან 3000-სიტყვამდე, რაც მათ აზრის ზუსტად გადმოცემის საშუალებას აძლევს. 5-დან 6-წლამდე პერიოდში შეიმჩნევა ჰიპერსენსიტიური პერიოდი, როდესაც ინტენსიურად ხდება შინაგანი მეტყველების გადასვლა გარეგან მეტყველებად. ამ პერიოდში შეიძლება მოხდეს სამეტყველო სუნთქვის, იგივე ფონაციის დარღვევა იმის გამო, რომ ბავშვს უჭირს წინადადების გრამატიკულად გაფორმება. მეტყველების მიმართ გაზრდილმა მოთხოვნილებამ და ფსიქიკურმა სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს ენაბლუობა, რასაც ჩვენ ლოგონევროზს ვუწოდებთ. თუ ბავშვი ადრეულ ასაკში დაეუფლება ლექსიკასა და სინტაქსს, შედეგები გაცილებით უკეთესი იქნება, აზროვნების პროცესი კი ნაკლებად ხარვეზიანი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბავშვთა განვითარების არცერთი პერიოდი არ უნდა გამოგვეპაროს, რათა მოგვიანებით არ მივიღოთ ცუდი შედეგი, რასაც მეტყველების განვითარების შეფერხება ეწოდება. კონკრეტულ ასაკს ვერ დავასახელებთ, თუმცა წლინახევრიდან ან უფრო, ორი წლის ასაკიდან, აქტიურად და ფხიზლად უნდა იყოს მშობელი.

**- მეტყველების დარღვევების დროს რა მეთოდით მუშაობთ ბავშვებთან და ძირითადად, რა დროში აღწევთ შედეგს?**

- რაც შეეხება მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, გააჩნია, რა პრობლემით მოგვმართავს მშობელი. არის მეტყველების დარღვევის ორი ფორმა - მარტივი და რთული. თუ ბავშვი არის ტიპური განვითარების დისლალიკი, მაგრამ გამოიხატება არტიკულატორულ- ფონემატური დისლალია, აქ საკმაოდ ხანგრძლივი შრომაა საჭირო. თუმცა, ბავშვი როდესაც ტიპური განვითარებისაა, ქცევა კი ჩვეულებრივ, მოწესრიგებული, შედარებით მარტივად გებულობს სპეციალისტის მიერ მითითებულ ინსტრუქციებს, რაც მეტ-ნაკლებად ამარტივებს მუშაობას. ასეთ ბავშვებთან ვმუშაობთ შემდეგნაირად: სრულდება პირის ღრუს საარტიკულაციო ვარჯიშები, საჭიროების შემთხვევაში, მასაჟთან ერთად, რომელიც ეხმარება ენის კუნთების და, ზოგადად, საარტიკულაციო აპარატის ორგანოების - ტუჩების, ენის, სასის, ლოყების დამუშავებას. თუ დაჭიმულობაა, უნდა მოიხსნას შესაბამისი ვარჯიშითა და მასაჟით, თუ პირიქით, მოდუნებაა, აქაც შესაბამისი ვარჯიში და მასაჟია საჭირო. არის სხვა სახის დარღვევებიც, რომლის დროსაც გარდაუვალია მასაჟის გაკეთება, თუნდაც სალივაციის, ლოგონევროზისა და დიზართრიის დროს. თუკი საქმე გვაქვს ატიპური განვითარების ბავშვთან, სადაც მეტყველების დეფიციტი, არაკომუნიკაბელურობა, მოტორული და სენსორული უნარების დაქვეითება/დარღვევაა და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს, მაგრამ ერთობლივი მულტიდისციპლინური გუნდი სწორედ იმაზეა ორიენტირებული, რომ იმუშაოს ხარისხიანად, თავდაუზოგავად, რათა რაც შეიძლება მოკლე დროში მიიღოს მაქსიმალური შედეგი, თუმცა, ყველა ბავშვის შესაძლებლობა ინდივიდუალურია და იმის პროგნოზირება, რომ ერთ-ხუთ თვეში ან ერთ წელში მიაღწევ შედეგს, ძალიან ძნელია.

**- იქნებ სამომავლო გეგმებიც გაგვიმხილოთ?**

- ვაპირებ, გავაგრძელო მუშაობა მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვებთან ანუ მეტყველების თერაპევტად, პარალელურად, მინდა გავიარო სპეცპედაგოგის მოსამზადებელი ტრენინგკურსი, რომელიც კიდევ უფრო დამეხმარება მსგავსი პრობლემების ბავშვებთან მუშაობაში. სამომავლოდ კი მინდა გავხდე სერტიფიცირებული პედაგოგი და ამ ყველაფერთან ერთად, სკოლაში მუშაობაც შევითავსო.

> *„დიდი მნიშვნელობა აქვს მისი განვითარების პერიოდს. 0-დან 6 თვემდე, რომელიც ითვლება მეტად მგრძნობიარე პერიოდად. პირველ სენსიტიურ ფაზაში, ერთი თვის ბავშვი ტუჩების წინ წამოწევით ან გაღიმებით რეაგირებს ნაცნობ, ალერსიან ხმაზე. საინტერესო ფაქტია, რომ ბავშვი ადამიანის ხმაზე უფრო სწრაფად რეაგირებს, ვიდრე მჟღერ სათამაშოებზე*

## უკრაინა

დონბასში ერთ-ერთი ყველაზე რთული ბრძოლა მიმდინარეობს, მტკივნეული და გამოწვევებით სავსე, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, გასული კვირა იყო კიდევ ერთი კვირა, როდესაც უკრაინელმა მეომრებმა და ყველამ, ვინც სახელმწიფოს დაცვაში ეხმარება, კიდევ უფრო დააახლოვა უკრაინის გამარჯვება. „მათ მოიგერიეს თავდასხმები, გაანადგურეს ოკუპანტები, ძირი გამოუთხარეს მტრის პოზიციებსა და ლოგისტიკას და დაიცვეს ჩვენი საზღვრები და ქალაქები. მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ამჟამად ბრძოლაშია!“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც უკრაინას იცავს ბახმუტის, უგლედარის, ავდიივკის, სევერსკის, სვატოვსკის, ლიმანისა და ზაპოროჟიეს მიმართულებებით, მადლობა გადაუხადა მოხალისეებს, რომლებიც ეხმარებიან სამხედროებს სტაბილურობის შენარჩუნებაში, ექიმებს, ექთნებს, რომლებიც ჯარისკაცების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უწყობენ ხელს.

* * *

რუსული ძალების მიერ ამ დროისთვის, სულ მცირე, 13 ათასი უკრაინელი ბავშვის რუსეთში დეპორტაცია მოხდა. ამის შესახებ ბრიტანულ მედიასთან საუბრისას უკრაინელმა დეპუტატმა ივანა კლიმპუშ-ცინცაძემ განაცხადა. „ეს არის გენოციდის ნაწილი, რომელსაც რუსები უკრაინელი ერის წინააღმდეგ ახორციელებენ“, - განაცხადა კლიმპუშ-ცინცაძემ. უკრაინელი დეპუტატის თქმით, ზოგიერთი უკრაინელი ბავშვი ერთი კვირით ე. წ. საზაფხულო ბანაკებში ან საარდადეგო ბანაკებში წაიყვანეს, შემდეგ კი აღარ დაბრუნებულან. კლიმპუშ-ცინცაძის განცხადებითვე, ზოგიერთი უკრაინელი ბავშვი გასაშვილებლად უკვე გადასცეს რუსულ ოჯახებს, „თითქოს უკრაინაში საკუთარი ოჯახები არ ჰყავდათ“. ბრიტანული გამოცემა The Sunday Times-ის ცნობით, უკრაინელ ბავშვებს განუცხადეს, რომ ისინი სასკოლო ექსკურსიაზე მიჰყავდათ, მაგრამ ბევრი მათგანი უკან აღარ დაბრუნებულა.

* * *

უკრაინის თავდაცვის ძალებს ბახმუტისთვის საბრძოლო მასალის, საკვებისა და მედიკამენტების მიწოდების, ასევე ქალაქიდან დაჭრილების გაყვანის შესაძლებლობა აქვთ, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთ სამხედრო სარდლობის პრესსპიკერმა სერჰი ჩერევატიმ განაცხადა. კითხვაზე, მართალია თუ არა, რომ ბახმუტში უკრაინელი სამხედროებისთვის მნიშვნელოვანი ხიდები ააფეთქეს, ჩერევატიმ უპასუხა: „დიახ, საომარი მოქმედებების დროს მტერი ურტყამს ჩვენს ინფრასტრუქტურას, ხიდებს და სხვა მიმართულებებს, თუმცა ჩვენი ქვედანაყოფები გვაძლევენ შესაძლებლობას, სხვადასხვა გზით მივაწოდოთ ყველაფერი, რაც საჭიროა“.

* * *

უკრაინელმა სამხედროებმა რუსების კუთვნილი 13 უპილოტო საფრენი აპარატი გაანადგურეს. უკრაინის საჰაერო ძალების სარდლობის წარმომადგენელმა იური იგნატმა უკრაინულ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ რუსულმა ძალებმა უკრაინაში, ჯამში, 15 დრონი გაუშვეს. „დრონები ჩრდილოეთის მიმართულებიდან გაუშვეს. რუსებმა 15 უპილოტო საფრენი აპარატი გაუშვეს, მათგან 13 საჰაერო თავდაცვამ გაანადგურა. ასეთი კარგი შედეგი გვაქვს“, - განაცხადა იური იგნატმა. მისი განმარტებით, საუბარია ირანული წარმოების Shahed-131/136 ტიპის დრონებზე.

* * *

გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის მთავარი სატანკო ძალები საბრძოლო დანაკარგების ასანაზღაურებლად, სავარაუდოდ, საბჭოთა წარმოების T-62 ტანკებით აღიჭურვება, რომლებიც პირველად 1954 წელს გამოიყენეს. სამინისტროს დაზვერვის ანგარიშის თანახმად, არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ ქვედანაყოფებს, მათ შორის 1-ლი გვარდიის სატანკო არმიას 60 წლის წინანდელი ტანკები მიეწოდება. ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წლის შემდეგ საცავიდან T-62 ტიპის დაახლოებით 800 ტანკი ამოიღეს და კონფლიქტში გამოსაყენებლად გადააკეთეს.

* * *

გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა განაცხადა, რომ უკრაინაში ომის დასრულებაზე პასუხისმგებლობა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ეკისრება. მან აღნიშნა, რომ პუტინმა ვერ შეაფასა უკრაინის ძალა და გამბედაობა, ისევე როგორც უკრაინის ყველა პარტნიორის ერთიანობა, როდესაც 2022 წლის თებერვალში ინტერვენცია დაიწყო. „ძალიან რთულია იმაზე მსჯელობა, თუ რა მოხდება უკრაინაში მომავალში, მაგრამ ერთი რამ აბსოლუტურად ნათელია: ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინის მხარდაჭერას ფინანსური, ჰუმანიტარული დახმარებით და, ასევე, იარაღით“, - თქვა მან. შოლცმა აღნიშნა, რომ დასავლეთი უკრაინის გარეშე არანაირ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, მათ შორის, სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებაზე. „ჩემი აზრით, აუცილებელია, პუტინმა გააცნობიეროს, რომ მისი ინტერვენცია და იმპერიალისტური აგრესია წარმატებას ვერ მიაღწევს და ჯარები უნდა გაიყვანოს. ეს არის მოლაპარაკების საფუძველი“, - განაცხადა გერმანიის კანცლერმა.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# ქართულ-ევროპული საქმე – ბრიუსელიდან

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*უდიდესი პრივილეგია და პასუხისმგებლობაა ისეთ დასავლურ ორგანიზაციებში სტაჟირება, სადაც კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა და პოლიტიკური სტაბილურობა ცხოვრების წესია. ამ მხრივ ევროპარლამენტი ეპოქალური ორგანოა. აქ სხვადასხვა ქვეყნის პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდები გადიან სტაჟირებას, იძენენ ცოდნასა და გამოცდილებას, ასეთი გამორჩეულია საჯარო მმართველობის დოქტორანტი, ბსუ-ის ლექტორი* ***გიგა ფარტენაძე.***



**- ახალგაზრდა ლიდერისათვის საამაყოა ევროპარლამენტში მოღვაწეობა, თქვენ ხუთი თვის განმავლობაში იმუშავეთ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში, გვიამბეთ ამის შესახებ.**

- პირველ რიგში, მადლობას გიხდით დაინტერესებისა და შესაძლებლობისთვის. მართალს ბრძანებთ, 5 თვე ვიმუშავე საგარეო საკითხთა კომიტეტში, კონკრეტულად კი საპარლამენტთაშორისო დელეგაციებისა და საპარლამენტო ასამბლეების ბიუროში. ჩემი საქმიანობის არეალად განისაზღვრა EURONEST-ის საპარლამენტო ასამბლეა, რომელშიც შედის ისეთი ქვეყნების პარლამენტის წევრები (10-10 - თითოეული ქვეყნიდან), როგორებიცაა საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი და 60 მოქმედი ევროპარლამენტარი. EURONEST-ის საპარლამენტო ასამბლეა ხელს უწყობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებს შორის. ის აძლიერებს და ავითარებს აღმოსავლეთ პარტნიორობას, მის კომპეტენციაშია საპარლამენტო კონსულტაციები, ზედამხედველობა და მონიტორინგი.

**- საქართველოდან მხოლოდ თქვენ ხართ სტაჟირებაგავლილი ევროპარლამენტში, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებმაც თქვენს კანდიდატურას მხარი დაუჭირეს?**

***„შემიძლია გავიხსენო ევროპარლამენტის პრეზიდენტთან, ქალბატონ რობერტა მეტსოლასთან შეხვედრა, რომელიც ერთ-ერთი ღონისძიების დასრულების შემდეგ შედგა. მსგავს შეხვედრებს ვიყენებ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, თითოეულ წამს ვაქცევ შესაძლებლობად, რომ ვისაუბრო საქართველოზე, ევროპულ ოჯახში ინტეგრაციაზე***

- ჩემი კანდიდატურა 2023 წელს გამოცხადებულ სტაჟირების პროგრამაზე შეირჩა, რაც ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ვიაზრებ რა ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, მიმაჩნია, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი. ვიყენებ ყველა შესაძლო ოფიციალურ მიწვევას, პოლიტიკურ თუ კულტურულ შეხვედრას, პანელურ დისკუსიებს, საპარლამენტო ღონისძიებებს თუ პერსონალურ შეხვედრებს მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან, რათა საქართველოს ევროინტეგრაციას, ევროპულ ოჯახში ჩვენი სრულფასოვანი წევრობის აუცილებლობას ხაზი გავუსვა, რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის" დამფუძნებელს, ქალბატონ თეონა ლავრელაშვილს და, ასევე, რომან სტრასეს, რომელიც გახლავთ საქართველოს აქტიური მხარდამჭერი ევროპარლამენტსა და ევროსტრუქტურებში. ის იყო ევროკავშირი-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის გენერალური მდივანიც, ვინც რეკომენდაცია გამიწია აღნიშნულ პოზიციაზე.

**- ევროპარლამენტში, ძირითადად, რა საკითხებს განიხილავთ?**

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩემი კომპეტენცია ვრცელდება EURONEST-ის საპარლამენტო ასამბლეაზე, განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა მოლდოვას, მის შიგნით განვითარებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და უსაფრთხოების საკითხების გაცნობას, მოლდოვისა და უკრაინისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ რეფორმებისა და ცვლილებების თანმიმდევრულ დაკვირვებას, უსაფრთხოების ჭრილში კი დნესტრისპირეთში არსებული სიტუაციის მონიტორინგს, რომელსაც რუსეთისგან მართული პოლიტიკური ჯგუფებისა თუ სუბიექტებისგან ჰიბრიდული ომის შედეგად ვიღებთ. როგორც ვიცით, უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს, ფაქტობრივად, ერთი და იგივე გამოწვევა აქვთ - ტერიტორიული მთლიანობა და რუსული ოკუპაცია. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია მეგობარი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესწავლა, დაკვირვება, რა დროსაც ძალიან მნიშვნელოვან გადაკვეთის წერტილებს ვიპოვით ჩვენს ქვეყნებს შორის.

**- როგორც გავიგე, დაესწრებით პლენარულ სხდომებს ბრიუსელსა და სტრასბურგში...**

- დიახ, დავესწრებით ევროპარლამენტის პლენარულ სხდომებს, რომელიც იმართება თვეში ერთხელ ბრიუსელში ან სტრასბურგში, რაც, ვფიქრობ, ჩემთვის იქნება ყველაზე დიდი პრაქტიკული გამოცდილება, თუ როგორ წარიმართება შემოქმედების პროცესი ევროპარლამენტში, როგორი პროცედურების დაცვით ხდება საკითხების რეგისტრაცია, მათი განხილვა, ევროპული საპარლამენტო დებატების ადგილზე გაცნობა და საბოლოოდ გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულების პროცედურებზე დაკვირვება.

**- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის" ხელმძღვანელი თეონა ლავრელაშვილის მხარდაჭერით 40-მდე ახალგაზრდას მიეცა პროფესიული პრაქტიკის ევროკავშირის სტრუქტურებში გავლის შესაძლებლობა, ეს რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის?**

- „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის" ბრიუსელში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც აქტიურად მუშაობს საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციაზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქართველი ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენაზე. ორგანიზაციის „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის" წვლილი ფასდაუდებელია, ბრიუსელიდან ახერხებს ეს გუნდი ქართულ-ევროპული საქმის ეფექტურად კეთებას.

**- რა თქმა უნდა, საამაყოა ევროპარლამენტში სტაჟირება. როგორია თქვენი თვალით დანახული ევროპარლამენტი?**

- პირველი, რაც ბრიუსელში ჩამოსვლის შემდეგ ყურადღებას იპყრობს, ეს ევროსტრუქტურებია, ინსტიტუტები, რომლებიც პასუხისმგებელია როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ მიმართულებებზე, ასევე არაწევრი, ასოცირებული თუ კანდიდატის სტატუსის მქონე, თუმცა ევროპული ღირებულებების მატარებელი ქვეყნების მხარდაჭერასა და მათ ინსტიტუციურ გაძლიერებაზე. პოლიტიკური დღის წესრიგის მასშტაბები და განსახილველი საკითხების მრავალფეროვნება საკმარისია იმის გასააზრებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვან ადგილას ხარ. ადგილზე ეცნობი და თანამონაწილე ხდები იმ პოლიტიკური პროცესებისა, რომელსაც საქართველოში ყოფნის დროს ტელევიზიებით თუ სოციალური ქსელის საშუალებით, ინტერნეტწყაროების გამოყენებით ვეცნობოდი. ჩემი დაკვირვებით, ევროპარლამენტი ყველა სხვა ევროპული ინსტიტუტებისგან განსხვავებით, თავისი წარმომადგენლობითი ფუნქციითა და უზარმაზარი ადამიანური რესურსების მობილიზებით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილია ბრიუსელში, სადაც შენს შესაძლებლობებსა და სიახლეებისადმი სწრაფვას მხოლოდ და მხოლოდ მზაობით ხვდებიან. მუშაობის პროცესში შეიძლება შეხვდე უმაღლესი რანგის ოფიციალურ პირებს, ევროპული პარლამენტის დეპუტატებს, კომიტეტების ხელმძღვანელებს, ოფიციალური დელეგაციების დროს - სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებს, ოპოზიციური პარტიის ლიდერებს, რომლებიც იბრძვიან ევროპული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის. მაგალითად, შემიძლია გავიხსენო ბელორუსის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი სვეტლანა ციხანოვსკაიასთან შეხვედრა და სხვა.

**- ცხადია, ევროპარლამენტარებს ხვდებოდით, რომ არაფერი ვთქვათ კოლეგებზე, მათთან უკრაინაზე თუ მსჯელობთ და რას ამბობენ?**

- დიახ, რასაკვირველია, ევროპარლამენტარებთან შეხვედრა თითქმის ყოველდღიურად გვიწევს. გარდა პლენარული სესიებისა, ვესწრებით საკომიტეტო მუშაობას, ასევე, სხვადასხვა ღონისძიებას, რომლებიც იმართება როგორც პარლამენტში, ასევე მის გარეთ, სადაც ევროპარლამენტარებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან გადაკვეთის წერტილები არსებობს. შემიძლია გავიხსენო ევროპარლამენტის პრეზიდენტთან, ქალბატონ რობერტა მეტსოლასთან შეხვედრა, რომელიც ერთ-ერთი ღონისძიების დასრულების შემდეგ შედგა. მსგავს შეხვედრებს ვიყენებ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, თითოეულ წამს ვაქცევ შესაძლებლობად, რომ ვისაუბრო საქართველოზე, ევროპულ ოჯახში ინტეგრაციაზე. მიუხედავად ქვეყანაში ორაზროვანი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გატარებისა, ქართველი ხალხი იმსახურებს ჯერ კანდიდატის სტატუსს, შემდეგ კი სრულფასოვან წევრობას. ეს არის ჩემ და ოფიციალურ პირებს შორის დიალოგის მთავარი თემა. ჩემი აქ ყოფნა დაემთხვა უკრაინაში რუსეთის ომის წლისთავს. რამდენიმე ოფიციალურ ღონისძიებაზე დასწრების შესაძლებლობა მქონდა. შეხვედრებს ესწრებოდნენ უკრაინის ელჩი ევროკავშირში, სხვადასხვა სამინისტროს, დიასპორის, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ევროპარლამენტარები, ევროპის საბჭოსა და ევროპული საბჭოს ოფიციალური პირები და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, უკრაინა-რუსეთის ომი არის მთავარი განხილვის საგანი, თუმცა დისკუსიის დროს თითოეულ შეხვედრაზე ვაფიქსირებდი საქართველოს და ქართველი ხალხის ურყევ მხარდაჭერას უკრაინისადმი და ხაზს ვუსვამდი, რომ უკრაინის გამარჯვება საქართველოსა და მოლდოვას გამარჯვებაა, ამ ქვეყნების ევროპული მომავალი უნდა განიხილებოდეს ერთიან ჭრილში.

**- როგორც ცნობილია, ევროპარლამენტში „ხალხის ძალის" მიერ ინიცირებულ კანონპროექტზეც იყო საუბარი, როგორია მათი პოზიცია?**

- შეუიარაღებელი თვალით შეგვიძლია დავინახოთ ევროპარლამენტში საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი ძალიან პოზიტიური განწყობა. სამწუხაროდ, დღის წესრიგში უფრო ინტენსიურად დგას უკრაინისა და მოლდოვას საკითხები, ვიდრე საქართველოსი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ევროსტრუქტურებში საქართველოსადმი ყურადღება განელებულია, პირიქით, ფაქტობრივად, ყველა საშინაო პოლიტიკურ პროცესს ეხმიანებიან ევროსტრუქტურებიდან. „ხალხის ძალას", ვფიქრობ, ქართველ ხალხთან, მათ კონსტიტუციურ უფლებასთან, ისტორიულ მონაპოვართან და უბრალოდ, უდიდესი ნაწილის გაცხადებულ საგარეო კურსთან არანაირი კავშირი არ აქვს. რაც შეეხება ე.წ. კანონს უცხოური გავლენის შესახებ, იგი დამაზიანებელია ჩვენი ქვეყნისთვის და იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტს დაამტკიცებს პარლამენტი, მას შეუძლია მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალზე. კანონის მიღება უნდა შეფასდეს მოცემულობის და რეალობის მიხედვით. ეს კანონი არის ანტიქართული, ანტიდასავლური და მაღალი ალბათობით, ემსახურება ჩრდილოეთის სტრატეგიულ ინტერესს. სწორედ ამიტომ მისი მიღება დაუშვებელია.

**- თქვენი შეხედულებით, მოგვენიჭება თუ არა კანდიდატის სტატუსი, ამ მხრივ საქართველოს წინაშე რა შესაძლებლობა და გამოწვევა იკვეთება?**

- ჩვენმა ხელისუფლებამ თავისი განცხადებებით, ქმედებებით ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ქართველი ხალხის გამოხატული, დეკლარირებული პოზიცია, რომ ჩვენ უნდა გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მიღწეულ იქნას. დასავლეთს სურს, რომ საქართველო დაინახოს დამოუკიდებელი მედიით, ძლიერი, თავისუფალი სამოქალაქო სექტორით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით, ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტებითა და მართლმსაჯულების სისტემით ევროკავშირში და აქიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავალი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ხელშია.

**- ვიდრე დასავლეთი მსჯელობს, მათ შორის ევროპარლამენტში, რუსულ საფრთხეზე, მანამდე კრემლი თანმიმდევრულად ახორციელებს თავის მიზნებს. როგორც გაცხადდა, ის აპირებს ახალი იმპერიული გაერთიანება შექმნას - რუსეთის, ბელორუსის, საქართველოსა და მოლდოვის ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით...**

- მეეჭვება, რომ ეს კრემლის წინასწარ განსაზღვრული და თანმიმდევრული ნაბიჯების შემადგენელი ნაწილი იყოს. ეს უფრო დამარცხებით, ფიასკოთია გამოწვეული, რითაც პუტინი ცდილობს საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენას და მარცხის გადაფარვას უკრაინაში წარუმატებელი შეჭრის შემდეგ, თან საუბარია ისეთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომლებიც არ არის აღიარებული არცერთი ცივილიზებული ქვეყნისგან. პუტინის იმპერიალისტური ზრახვების დასასრულის დრო მოვიდა, რაც გაერთიანებული, ერთიანი და შეკრული დასავლეთის შედეგად მიიღწევა უკრაინის ხელით.

**- ისიც ცნობილია, რომ დასავლეთი დიდ ყურადღებას უთმობს რუსულ პროპაგანდას. რა უნდა მოიმოქმედოს რუსეთის მიერ მიზანში ამოღებული პოსტსაბჭოთა ქვეყნების (უპირველესად - საქართველოს) მოსახლეობამ?**

- ჰიბრიდული და საინფორმაციო ომი ნამდვილად დიდ გამოწვევადაა მიჩნეული. კარგად თუ ცუდად, მას აქვს ზეგავლენა საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე, თუმცა ბრძოლა და ეფექტური იარაღი არის ის სიმართლე, რასაც ნათლად ვხედავთ - რუსეთი არის ოკუპანტი, მას ჩვენი ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული. რუსეთი შემოიჭრა 2008 წელს საქართველოში, რაც დასტურდება ჰააგის სასამართლო გადაწყვეტილებით. რუსეთი უკრაინაში შეიჭრა 2014 წელს, აგრძელებს იქ ომს, ცდილობს, ძალები მოიკრიბოს მოლდოვაში, თუმცა ეს ყველაფერი დასრულდება, როდესაც უკრაინა გაიმარჯვებს.

**- დაბოლოს, რომელი ცხოვრებისეული პრობლემის გადაწყვეტა მიგაჩნიათ თანამედროვე საქართველოს პირობებში ყველაზე საშურად?**

- ერთ-ერთ მთავარ და ჩემთვის მტკივნეულ საკითხად მიმაჩნია ნიჭიერი, ინტელექტუალი, შრომისმოყვარე და შრომისუნარიანი ქართველი ახალგაზრდების გადინება უცხო ქვეყნებში, რაც, სამწუხაროდ, საგრძნობლად მომატებულია ბოლო პერიოდში. სწორედ ამიტომ გვჭირდება კანდიდატის სტატუსი, ევროპული ოჯახის წევრობა, რათა შესაძლებლობების კარი გავუხსნათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც საქართველოდან მიდიან.

## აჭარა – ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე

აჭარის დელეგაცია აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძის, უმაღლესი საბჭოს წევრების - ილია ვერძაძის, გიორგი მანველიძის, აპარატის უფროს ზურაბ ჭურკვეიძის, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძისა და ქალაქ ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანის შემადგენლობით პოლონეთში, ქვემო სილეზიის სავოევოდოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.



დელეგაციას სავოევოდოს ადმინისტრაციული ცენტრის - ქალაქ ვროცლავის მერმა იაცეკ სუტრიკმა უმასპინძლა. შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავებასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. ვიზიტის ფარგლებში, ქართული დელეგაცია ვროცლავში ტურიზმის მე-14 საერთაშორისო გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრო, რომელზეც აჭარა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული რეგიონი, საგანგებო და მრავალფეროვანი კუთხითაა წარმოდგენილი.

**ამირან გურიელიძე**

# «ჩემს ხიხაძირზე სათაყვანებელი არაფერი მეგულება»

***ხიხაძირელი ეზინე ჯაიანის ცხოვრება და შრომა ყველაზე კეთილშობილურ საქმიანობას - მომავალი თაობის აღზრდას უკავშირდება. 90 წელს მიტანებული ქალბატონი განვლილ გზას იხსენებს***

- ოჯახში 6 დედმამიშვილი ვიზრდებოდით. ჩვენ იმ სკოლის კურსდამთავრებულები ვართ, რომელიც მალე აღდგენიდან საუკუნოვან იუბილეს იზეიმებს. ამ საგანმანათლებლო კერამ თავის დროზე უდიდესი წვლილი შეიტანა სხალთა-ხიხაძირის, მარეთის ხეობისა და ახლანდელი ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულის ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეში. დაწყებითი კლასების მოსწავლე ვიყავი, როცა ახლანდელი ხულოსა და შუახევის რაიონებში ღორჯომის, შემდეგ კი ხიხაძირის საშუალო სკოლა გაიხსნა. ეს მარტო მაშინდელი ხელისუფალის დამსახურება არ იყო, იგი ღირსეული ხიხაძირელების მომავალზე ორიენტირებული გარჯის შედეგიცაა. მათ შორის არიან მამაჩემი - ფოლად ჯაიანი, ბიძა - სერგო ჯაინი, ახლობელი მემედ ჯაიანი, იოსებ გაბაიძე, ზექერია ხალვაში, დურსუნ მიქელაძე. იმ დროს საზოგადოება ქალების განათლებას მხარს არ უჭერდა. რამდენიმე გოგონასთან ერთად, პირველმა ავიმაღლე ხმა წარსულის ამ მავნე გადმონაშთის წინააღმდეგ და ახლად გახსნილ ხულოს ქალთა პედაგოგიურ სასწავლებელს მივაშურე. დღემდე მახსოვს სასწავლებლის დირექტორის ეთერ (ხატიჯე) აბულაძის გულისხმიერი დამოკიდებულება. მიკვირს, საიდან მოდიოდა ის სიკეთე, რომელიც ამ ადამიანში იყო.

**- იყო შემთხვევები, როცა ქალიშვილის სურვილს ოჯახი ეწინააღმდეგებოდა...**

- 4 და და 2 ძმა გავიზარდეთ ოჯახში. მამა და ბიძა პირიქით, ხელს გვიწყობდნენ, ბევრი იყო წინააღმდეგი, მაგრამ მათ ყური არ ათხოვეს. დედას - ჰურიეთ ჯაიანს კიდეც საყვედურობდნენ, მაგრამ სადაც საღი აზრი და ერთსულოვნება იყო, იქ საქმეც იმარჯვებდა. მე პედაგოგიურ სარბიელზე თავი ვისახელე, ამირანი აჭარაში ცნობილი ექიმი იყო (უკვე გარდაცვლილია), არჩილი ერთ ხანს ხიხაძირის სკოლის დირექტორი, ხულოს რაიონის გამგებლის მოადგილე იყო. ახლა პენსიაზეა. ლილი მედიცინის დაა. 1959 წლიდან 1991 წლამდე ხიხაძირის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო დის - მზევინარის მეუღლე მეჯიდ გაბაიძე. მეჯიდს 7 წელიწადს სკოლის დირექტორობაც ანდეს. ჩემი და მეჯიდის პედაგოგიური საქმიანობა ერთმანეთთან კავშირშია. მე წლების განმავლობაში ნადაბურის, ახალშენის დამოუკიდებელ დაწყებით სკოლებში ვიმუშავე, ხოლო 80-იანი წლებიდან - ხიხაძირის საშუალო სკოლაში. ჩვენი მუშაობის პერიოდში ხიხაძირის საშუალო სკოლამ 31-ჯერ დაულოცა გზა კურსდამთავრებულებს, 1477 ახალგაზრდამ მიიღო სიმწიფის ადესტატი. უდიდესი მოკრძალებითა და პატივისცემით მოვიგონებ დირექტორებს შაქრო მანელიშვილს, ფელულ დევაძეს, სერგო ჯაიანს, გიორგი კვაჭაძეს, მიხეილ ზაქარაძეს, ნოდარ ჯაყელს, დიმიტრი ხოზრევანიძეს, არჩილ იშხნელიძეს... ზოგის მოსწავლე ვიყავი, ზოგთან პედაგოგიური მუშაობა მაკავშირებდა. ქვეყნად არ მეგულება თედო მიქელაძის სადარი მექართულე. იმიტომ არ ვაქებ, რომ ჩემი ცხოვრების მეგზურის ბეჟან მიქელაძის ბიძაშვილი იყო. მახსოვს ის დღე, როცა ხიხაძირს ცნობილი მწერლები სტუმრობდნენ. თედომ თავისი ტკბილქართულით ყველა გააოცა.



**- ყველაზე მეტად რომელი მწერლების სტუმრობა დაგამახსოვრდათ?**

- პარმენ ლორიას, ნესტორ მალაზონიას, კაპიტონ რუსიძის, გიორგი (გოგიტა) ლორთქიფანიძის, მამია ვარშანიძის, ფრიდონ ხალვაშის, გიორგი სალუქვაძის, რევაზ ართილაყვას, ჯემალ ქათამაძის, ჯემალ ჯაყელის, ალექსანდრე სამსონიას. ისინი ხიხაძირის ხშირი სტუმრები იყვნენ.

**- თავად თუ იყავით პოეტის, მწერლის მასწავლებელი?**

- ხიხაძირელები არიან რევაზ გორგაძე, გულიკო და გიორგი გაბაიძეები. პოეტ გულიკო გაბაიძის მასწავლებელი ვიყავი. დღესაც «ეზინე მასწავლებლის» სახელით მომმართავს, ოჯახშიც ხშირად მაკითხავს. მიყვარს მისი ლექსები. კომპოზიტორმა მანანა გაბაიძემ გულიკოს ლექსზე «საქართველოს» სიმღერა დაწერა, რომელიც პროფესორმა სერგო დუმბაძემ გაბაიძეთა საგვარეულო კავშირის ჰიმნად მონათლა. გიორგი გაბაიძე ჩემი მოსწავლე არ იყო, მაგრამ მისი პოეზიის თაყვანისმცემელი ვარ. ხიხაძირი ჩემია, ხიხაძირელები - ჩემიანები.



**- წელს ხიხაძირის სკოლას აღდგენიდან 100 წელი უსრულდება. თქვენ თუ ხართ ჩართული სამზადისში?**

- ფიზიკური მდგომარეობა ხელს აღარ მიწყობს. გავიგე, რომ არსებული შენობის რეაბილიტაციას აპირებენ. ძალიან კარგი ჩანაფიქრია. შენობის ექსპლოატაციაში შესვლის დღიდან 46 წელი გავიდა. გამოგიტყდებით, რომ მენატრება სკოლის დერეფანში გავლა, საკლასო ოთახების ჩამოვლა. ისიც გულდასაწყვეტია, რომ ჩემი თაობის პედაგოგებიდან წუთისოფელში აღარავინ დარჩა.

**- დედის უკვდავება შვილთმრავლობაა...**

- არ გედავებით. 6 ქალიშვილისა და ერთი ვაჟის დედა ვარ. 19 შვილიშვილს და 15 შვილთაშვილს მოვესწარი, შვილთაშვილისშვილის მოლოდინში ვარ. ჩემთვის მარტო შვილების გაჩენა არ იყო მთავარი. ბეჟანთან ერთად ვიზრუნე მათ აღზრდასა და დაკვალიანებაზე. აგრონომი, სტომატოლოგი, მეღვინე, პედაგოგი, ეკონომისტი - ასეთია ჩემი შვილების პროფესიული არეალი.

**- ქალბატონო ეზინე, და-ძმებიდან ნახევარიც აღარ დარჩით...**

- ექიმი ამირან ჯაიანის წუთისოფლიდან წასვლის შემდეგ, კიდევ ორი დედმამიშვილი მიებარა მიწას. გულს არჩილი მიმაგრებს. მოხუცებულობის ჟამს ხიხაძირს დაუბრუნდა, სახლი მოაწესრიგა, ნარგავებს პატრონის ხელი დაატყო. სტიქიური პროცესების გამო, 1990 წელს, მეუღლე და მე საცხოვრებლად ქარელის რაიონის სოფელ სამწევრისში გადავედით. იქ კერა არ მოგვიშლია. ბათუმში ვაჟმა მამუკამ შეიძინა ბინა. ვმოგზაურობ ხიხაძირიდან ბათუმში, თუმცა ჩემს ხიხაძირზე სათაყვანებელი არაფერი მეგულება, ძვირფასი ადამიანების სულები იქ მიხმობენ. ახლა ჩემს ხიხაძირში 1,5 მეტრი თოვლია, როგორც კი თოვლი დადნება, წავალ. მადლობა უფალს, რომ მამუკა, რძალი, ქალიშვილები ყურადღების გარეშე არ მტოვებენ.

**- ადამიანები ყველაფერ «პირველს» არ ივიწყებენ. თქვენ რა გახსენდებათ?**

- ყველაზე მთავარი, მაინც პირველი შვილის გაჩენაა. პირველი გაკვეთილი, პირველი აღიარებაც განსაკუთრებულად მახსოვს. ხიხაძირელებს ცეკვა-სიმღერის ტრფიალებს გვიწოდებენ. სამწევრისში საცხოვრებლად რომ გადავედით, შურა ხალვაშმა იქ ქალთა ანსამბლი «ხიხანი» ჩამოაყალიბა. ერთხელ «ტბელობაზეც» ჩამოვიდნენ ხიხაძირში და თავისი ხელოვნება გაგვაცნეს. მე 1934 წელს ვარ დაბადებული. იმ წელს ხიხაძირელ მოცეკვავეებს ამიერკავკასიიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე ცეკვა «ხორუმი» შეუსრულებიათ. ისიც პირველი იყო, მაშინ გაიცნო თბილისელმა მაყურებელმა ცნობილი მეჭიბონე ედეჰემ სურმანიძე (ქოჩახელა).

**- ღირსეულ წინამორბედ ქალებს თუ გაიხსენებთ?**

- ნესპიე გაბაიძის სახით ღირსეული წინამორბედი მყავდა. მას მივბაძე მე, თამარ ცეცხლაძემ, გულვარდ და მზიური ბერიძეებმა, ჟუჟუნა გაბაიძემ, დარიკო და მზია ხალვაშებმა, ლამარა ჯაიანმა. ნელი ხალვაში პირველი ქალი იყო, რომელმაც სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. მათგან წუთისოფელს ბევრი აღარ შემორჩა.

# დღესასწაულები მიულოცეს

***ხურმიზ ბოლქვაძე ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭულაში ცხოვრობს. იგი 1920 წელსაა დაბადებული. 19 წლის ასაკში შექმნა ოჯახი. 8 შვილის დედაა, ჰყავს 12 შვილიშვილი, 22 შვილთაშვილი და 7 შვილიშვილისშვილი***

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი ავთო ჩხიკვაძე ქედაში ყველაზე უხუცეს ქალბატონს ბინაზე ეწვივნენ და დედის დღე სამახსოვრო საჩუქრით მიულოცეს.

„ღირსეული სიბერე" - ამ სახელწოდების ღონისძიება ქედის ხანდაზმულთა კლუბის ორგანიზებით გაიმართა და იგი დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებს მიეძღვნა. ღონისძიების მონაწილეებს გაზაფხულის პირველი დღესასწაულები მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მიულოცეს და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

ქედაში დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი კვირეული 3 მარტს დაიწყო და 9 მარტს დასრულდება. ღონისძიებები განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის კულტურული ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს.



## შუახევი

ტრადიციისამებრ, დედის დღე 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ბუთურაულელი იაგო მიქელაძისა და ბარათაულელი ამირან მამალაძის დედებს - ეთერ დავითაძე-მიქელაძესა და მარინა მიქელაძე-მამალაძეს მიულოცეს. ბუთურაულში მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე იმყოფებოდნენ, ბარათაულში - ამირან მამალაძის თანამებრძოლებიც. სტუმრებმა დედებს საჩუქრები გადასცეს.



მრავალშვილიანი დედები მერიაშიც მოიპატიჟეს.

- დედა სიცოცხლის საწყისია, - თქვა მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, - ვულოცავ თითოეულს 3 მარტს. ბედნიერებას, დღეგრძელობას, შვილთმრავლობას, კეთილდღეობას ვუსურვებ. მრავალშვილიან დედებს გამორჩეულად ვეფერებით. მათი ღვაწლი ფასდაუდებელია. განსაკუთრებულად მოვეფერეთ თინა ბერიძეს, ზინა მიქელაძეს, ვართანუშ ზოიძეს, რომლებმაც 10 და მეტი შვილი გაზარდეს, საჩუქრითაც გავახარეთ.

მრავალშვილიან დედებს დღესასწაული როსტომ ლორთქიფანიძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელებმაც მიულოცეს.

საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძემ 99 წლის ჯაბნიძეებელ უმიან ცინარიძე-მუკუტაძეს ოჯახში მიულოცეს დედის დღე.

## ხულო

მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე მრავალშვილიან დედებს, სხვადასხვა სფეროში მომუშავე წარმატებულ ქალბატონებს შეხვდა და დედისა და ქალთა დღეები მიულოცა.

შეხვედრას საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ**

# საჩუქარი – მანდილოსან აბიტურიენტებს

ხატია იაშვილი 555 18 48 88



***ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს ქალთა გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით ახალი ინიციატივა აქვს - გოგონებს უფასო სწავლებას სთავაზობს საბაკალავრო პროგრამებზე***

სასწავლებლის გადაწყვეტილებით, ისინი, ვინც აირჩევენ საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს, ოთხი წლის განმავლობაში გათავისუფლდებიან გადასახადისგან.

***ცნობისთვის:*** *საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე ორი საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედებს: საზღვაო ნავიგაცია და გემის მექანიკა. მიღება წარმოებს როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან პროგრამებზე.*

- ბნსუ-ში მოხვედრის შემთხვევაში, ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელიც პირველ პოზიციაზე აირჩევს ჩვენს უნივერსიტეტს (140), ისარგებლებს სწავლის საფასურის 10-პროცენტიანი შეღავათით. სტუდენტებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა, სწავლის პროცესში მოიპოვონ წარჩინებისა და რექტორის სახელობითი სტიპენდიები. ვულოცავთ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღეს და ვუსურვებთ რეალიზებულ და ნაყოფიერ მომავალს, - გვითხრეს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში.

# აჭარის ჩემპიონატები – ჭადრაკში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, აჭარის ჩემპიონატები გაიმართა ჭადრაკში 8, 12 და 16 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის***

ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად, ჩატარდა, რომელშიც საერთო ჯამში, 90 მოჭადრაკე (16 წლამდე ასაკში ითვლებოდა ფიდეს რეიტინგი) მონაწილეობდა. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში აჭარის ჩემპიონები გახდნენ საბა სარჯველაძე (მწვრთნელები დავით მალალაშვილი, ამირან მალანია, ქობულეთი), ევა სოსელია (მწვრთნელი ალექსი ტერ-კარაპეტიანი, ბათუმი), ნუგზარ ასკეროვი (მწვრთნელი ბადრი ცხომელიძე, ბათუმი), ანეტა ქედელიძე (მწვრთნელი თენგიზ დიდმანიძე, ბათუმი), გიორგი გოგიაშვილი (მწვრთნელი ალექსი ტერ-კარაპეტიანი, ბათუმი), მარიამ კალანდაძე (მწვრთნელი თენგიზ დიდმანიძე, ბათუმი).

საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ, ხოლო ჩემპიონები - თასებითაც. ისინი თბილისში, შესაბამისი ასაკის 2023 წლის საქართველოს ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

ყველა ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებულ საპრიზო სამეულს საჩუქრად გადაეცა საერთაშორისო საჭადრაკო პლატფორმა www.chesskid.com-ის 1-წლიანი ვაუჩერი.



# ვიქტორ ოსიმენი გუნდს დატოვებს (?!)

ცნობილ იტალიელი ჟურნალისტ ჩირო ვენერატოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „ნაპოლის" ვარსკვლავი ვიქტორ ოსიმენი გუნდს ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში დატოვებს. მისი თქმით, აურელიო დე ლაურენტისი ნიგერიელ ფორვარდს 150 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელევა.

„აურელიო დე ლაურენტისის მიზანს ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ოსიმენის გაყიდვა წარმოადგენს. მისი და რაფაელ ლეაოს შეძენა ბევრ გრანდს სურს. ფეხბურთელის თაობაზე „ნაპოლისა" და პსჟ-ის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა შედგა. ნიგერიელით ასევე პრემიერლიგის გრანდები - „ჩელსი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ინტერესდებიან. დე ლაურენტისი ვიქტორის სანაცვლოდ 150 მილიონ ევროს ითხოვს", - წერს RAI-ს ჟურნალისტი.

*შეგახსენებთ: ვიქტორ ოსიმენმა მიმდინარე სეზონში „პარტენოპეის" მაისურით ყველა ტურნირზე სულ 24 მატჩი გამართა და თავი 21 გატანილი გოლითა და 3 შედეგიანი პასით გამოიჩინა.*

**ამირან გურიელიძე**

# გაზაფხული განახლების დროა

მარტმა გაზაფხულის შემობრძანება გვახარა, რომელიც სიცოცხლისა და სიყვარულის ხელმეორედ დაბადებაა, ამიტომ, ბუნებრივია, დედისა და ქალთა დღეებიც გაზაფხულის პირველ თვეს უკავშირდება. დედაც ხომ სიცოცხლის შემოქმედი, წყარო და საწყისია. პირველი სიტყვა, რომელიც ბავშვის ბაგეებიდან ისმის, არის „დედა".

წელიწადის ამ ფერადმა, შინაარსიანმა და ხალისიანმა დრომ, რომელიც გვაძლევს შთაგონების ძალას, გადაგვაწყვეტინა მე და ჩემს საყვარელ პირველკლასელებს, ერთად გამოგვეხატა ეს თბილი და ტკბილი გრძნობა, რასაც დედაშვილობა ჰქვია. ამისთვის ყველაზე კარგი საშუალება მომცა დედისადმი მიძღვნილმა რამდენიმე გაკვეთილმა.

დასაწყისში პატარებს დედის როლზე ვესაუბრე, ვუთხარი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი სიტყვები დედით იწყება: დედაბოძი, დედამიწა, დედაენა, დედაქალაქი... შემდეგ გავახსენე და ვასწავლე ლექსები, გამონათქვამები, ანდაზები დედაზე.

შემაჯამებელ გაკვეთილზე დედები მოვიწვიე. შეხვედრა ნამდვილ დღესასწაულად იქცა... პატარებმა მშობლებს მიართვეს მათ მიერ შესრულებული ნახატები, აპლიკაციები, წაუკითხეს ლექსები, უმღერეს. ვუყურებდი ახალგაზრდა დედებს და მათ თვალებში სითბოს, სიხარულს და კმაყოფილებას ვკითხულობდი. ამ ლამაზმა წუთებმა მაგრძნობინა, რომ მე არა მარტო ორი შვილის დედა ვარ, არამედ ამ თვალებბრიალა პატარებისაც, რომელთა ბედნიერი და ალერსით სავსე სახეები კიდევ უფრო მეტ ძალას, ხალისს მმატებს და მაყვარებს ჩემს პროფესიას... ვრწმუნდები, რომ ჩემი პატარები დედის ამაგის დამფასებლები დაიზრდებიან. ეს მათ სახეებზე ამოვიკითხე.

**ნანა ქაჯაია,**
**სსიპ „ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლის" დაწყებითი კლასების მასწავლებელი**

Ⓡ





# რუსეთის საკაცობრიო დანაშაული – უკრაინაში

მე-3 გვერდიდან

**- დაბოლოს, როცა იქნება, ეს ომიც დასრულდება, უკრაინის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში პროცესების რა განვითარებას ელოდებით თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში?**

- მიმაჩნია, რომ დასავლეთი უკრაინას ბედის ანაბარა არ დატოვებს და უკრაინა აუცილებლად შეინარჩუნებს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ამას სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და, ცხადია, სამხედრო თვალსაზრისით. თუ რუსეთი ამ ომში გაიმარჯვებს (რაც წარმოუდგენლად მიმაჩნია), მაშინ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი აღმოსავლეთ ევროპის ოკუპირება მოხდება, ეს არ უნდა დაუშვას დასავლეთმა. დღეს, ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს უკრაინის მეტი მხარდაჭერა, მეტი თანამშრომლობა დასავლეთთან, შიდა სტაბილურობის შენარჩუნება, რათა დავიცვათ თავი, მივაღწიოთ საზოგადოების კონსოლიდირებას, შევთანხმდეთ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით. ესაა ქვეყნის სუვერენიტეტი და მისი დამოუკიდებლობა, დანარჩენი საკითხები შესაძლებელია მოგვარდეს, ამ მხრივ აუცილებელია ჩვენი გზავნილები ევროპისადმი, რომ ჩვენ ვართ მათი სტრატეგიული პარტნიორი, მოკავშირე და არასდროს ევროპულ კურსს არ გადავუხვევთ. არსებულმა და მომავალმა ხელისუფლებებმა უნდა გაითავისონ, რომ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის გარანტი ევროპა და, ზოგადად, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა.

## განცხადებები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 1974 წლის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ჟუჟუნა ავთანდილის ასული ბერიძე**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ნაზი ბეჟანიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მომსახურების, კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ნაზი ბეჟანიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ბათუმის საქალაქო საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ნაზი ბეჟანიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ხელოვნების, მასმედიის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ნაზი ბეჟანიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ნადეჟდა (ნაზი) ბეჟანიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თვითდასაქმებულთა, ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ნადეჟდა (ნაზი) ბეჟანიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მსუბუქი კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ნაზი ბეჟანიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი «აჭარის» რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ნადეჟდა (ნაზი) ბეჟანიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 6/03/23, 21 25 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# ორგანიზაცია, რომელიც ახალგაზრდებს არაერთ შესაძლებლობას აძლევს



**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

*ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის მიერ გამართულ შეხვედრაზე თემაზე: „ღირებულებებზე დაფუძნებული ცვლილებები - იუნისეფის საქმიანობა საქართველოში“ იმსჯელეს*

შეხვედრას საქართველოს გაეროს ფონდის ხელმძღვანელი ღასან ხალილი დაესწრო, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ორგანიზაციის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებულ არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, პროექტზე, რომელმაც ხელი შეუწყო ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა უფლებების გაძლიერებას.

კები, სამედიცინო სფეროს, „სოროპტიმისტ ინტერნეიშენალის კლუბი „ბათუმის“ წარმომადგენლები, ჟურნალისტები... ამ დღის განსაკუთრებული სტუმარი გახლდათ ბატონი ღასან ხალილი, რომელიც 25 წელზე მეტია, ერთგულად ემსახურება ბავშვთა, ქალთა და ადამიანის უფლებების პოპულარიზაციას. შეხვედრაზე ვისაუბრეთ აჭარის სკაუტური ორგანიზაციის შესახებ, მის მიერ ჩატარებულ აქტივობებსა და ღონისძიებებზე, ვნახეთ ფოტო-კოლაჟი, რომელიც ასახავდა სკაუტური მოძრაობის ისტორიას, - განაცხადა აჭარის სკაუტური ორგანიზაციის დამფუძნებელმა, პრეზიდენტმა, სკაუტური სახელმძღვანელოს „აღმოაჩინე შენი გზა სკაუტინგში“ ავტორმა შორენა ლომაძემ, რომელიც, ამავდროულად, სამი მსოფლიო ჯემბორის დელეგატი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი საერთაშორისო ფესტივალის თანადამფუძნებელი, თურქეთის რესპუბლიკის სკაუტური ორგანიზაციის კომიტეტის წევრი, აჭარაში არაერთი უმნიშვნელოვანესი საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზატორი, უამრავი საერთაშორისო სკაუტური აქტივობის, კონფერენციების სულისჩამდგმელი, დამფუძნებელი და მონაწილეა.

**ცნობისთვის:** *სკაუტური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაცია გახლავთ ყველაზე მრავალრიცხოვანი ახალგაზრდული ორგანიზაცია. ის 1922 წელს დაარსდა, მასში გაერთიანებულია 173 ქვეყანა და 57 მილიონზე მეტი სკაუტი-მოხალისე. აჭარაში სკაუტური ორგანიზაცია დაფუძნდა 1996 წელს. არსებობის დღიდან ორგანიზაციაში 8500-მდე სკაუტი გაიზარდა.*

- დაარსების დღიდან ჩვენი ყოველწლიური რეგიონალური ბანაკი ბათუმის ბოტანიკურ ბაღში იმართება. 27 წლის განმავლობაში მონაწილეობა მივიღეთ 350-მდე მსოფლიო მნიშვნელობის ჯემბორში, კონფერენციებსა და პროექტებში, ფესტივალებში, ტრენინგებში, მსგავსი აქტივობები დავგეგმეთ და განვახორციელეთ ჩვენს რეგიონშიც. მსოფლიო სკაუტები 4 წელიწადში ერთხელ მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ ახალგაზრდულ ბანაკში მსოფლიო ჯემბორზე იკრიბებიან. აჭარის ორგანიზაცია თავისი დაარსების დღიდან ყველა ჯემბორის მონაწილეა. დღევანდელ შეხვედრაზე ვისაუბრეთ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობასა და მიღწეულ შედეგებზე. ფონდსა და ჩვენს შორის ურთიერთობა წლების წინ დაიწყო, თუმცა 2020 წელს განახლდა და უფრო აქტიურად გაგრძელდა ჩვენი თანამშრომლობა მაშინ, როცა ახალგაზრდებს ყველაზე მეტად სჭირდებოდათ ცნობიერების ამაღლება ვირუსთან ბრძოლის საკითხებში. დავიწყეთ უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელება, რომლის მიზანია ქალაქსა და მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მოსწავლეებისათვის ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა 30-ზე მეტი პროექტი, რომელმაც მოიცვა 25 სკოლის 3500-მდე მოსწავლე, 6 რეგიონი (ბათუმი, ხელვაჩაური, ქედა, ხულო, შუახევი, ქობულეთი). გადამზადდა 25 მოსწავლე, როგორც „ბავშვთა უფლებების ელჩი“. მათ სკოლებში ჩამოაყალიბეს 20-მდე კლუბი.



- საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციისთვის უდიდესი პატივი გახლდათ ასეთი საინტერესო და სასიამოვნო შეხვედრის ორგანიზება და მოწვეული სტუმრების მასპინძლობა. შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის სკაუტური ორგანიზაციის დამფუძნებლები, საზოგადო მოღვაწეები, პროფესორები, კულტურისა და ხელოვნების მუშა-

სიამაყით აღვნიშნავთ, რომ დოქტორი ღასანი სკაუტია. აჭარის სკაუტური ორგანიზაციისა და ქალაქის სახელით, მას მადლობა გადავუხადეთ ყველა იმ კეთილი საქმისთვის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გააკეთა. შეხვედრა 2 მარტს გაიმართა და უკვე მეორედ მოგვეცა საშუალება, ქალაქის ღირსეული ქალბატონებისთვის მარტის დღესასწაულები მიგველოცა. მათ სიმბოლური საჩუქრები გადავეცით. მინდა მადლობა გადავუხადო შეხვედრის თითოეულ მონაწილეს თანამშრომლობისთვის, მასპინძლობისთვის - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს, დირექტორს გიორგი მიქელაძეს და ამავე ცენტრის ოფისის მენეჯერს ჩიტო ომერაძეს. მადლობა თითოეულ ადამიანს, კომპანიას, ვინც გვერდში გვიდგას. ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს, - აღნიშნა შორენა ლომაძემ.

# ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობა...

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

***ქვეყნის წარმატებასა და კეთილდღეობას განათლებული მოქალაქეები განაპირობებენ. განსაკუთრებით საყურადღებოა სამოქალაქო განათლება, რადგან სწორედ იგი უბიძგებს მოქალაქეს, იყოს ქმედითუნარიანი, აქტიური, საამისოდ გააცნობიეროს თავისი უნარ-ჩვევები***

*ამ განათლებას მომავალი მოქალაქეები, უკვე ბევრი წელია, სასკოლო დაწესებულებებში ეუფლებიან, თუმცა 2018 წლიდან ამ საგნის სწავლებას მეტი ყურადღება ეთმობა, უკვე დაწყებით კლასებშიც ასწავლიან. სამოქალაქო განათლების მასწავლებელი მოსწავლისთვის მეკვლეა იმ ცხოვრებისეული გზისა, მომავალი რომ უმზადებს. ამ საგნის ერთ-ერთი გამორჩეული პედაგოგია* ***მზია ბაქრაძე,*** *რომელიც ბათუმის №8 საჯარო სკოლაში უკვე ათი წელია, აღსაზრდელებს სამოქალაქო განათლებას აზიარებს. უფროსი მასწავლებელი გამოირჩევა პროფესიონალიზმითა და შემოქმედებითი მიდგომით. სწორედ ამის გამო მოვიწვიეთ სასაუბროდ.*

- სამოქალაქო განათლება მოსწავლეებს თვალწინ საოცარ და მრავალფეროვან გარემოს უშლის ადამიანის, ბავშვთა უფლებების, სიმართლისა და სამართლიანობის, უსაფრთხო ცხოვრების, საკუთარი თავის შეცნობის, კონფლიქტების მოგვარების და სხვა არაერთი საჭიროზროტო საკითხის გასაცნობიერებლად და გადასაწყვეტად. საგანი სთავაზობს მოსწავლეებს სწავლა-სწავლების ძალიან საინტერესო და ამავე დროს ფრიად საპასუხისმგებლო პროცესს: ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასა და სახელმწიფოს ფუნქცია-მოვალეობებში გარკვევას. საკითხების გააზრებაში, ცოდნის გაღრმავებაში მეხმარება სამოქალაქო განათლების ტრენინგები, იქ მიღებული გამოცდილება კი გაკვეთილების სწორად დაგეგმვისა და წარმართვის საფუძველია. მოსწავლეებისათვის რომ საინტერესო და მიმზიდველი იყოს გაკვეთილი, ხშირად მივმართავ სხვადასხვა აქტივობას: კომპლექსურ დავალებებს, პროექტებზე მუშაობას, დებატებს, დისკუსიებს, აქტიურად ვიყენებ ციფრულ ტექნოლოგიებსაც. ათი წელია, ვხელმძღვანელობ სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩავატარეთ: კონფერენციები ჯანსაღი ცხოვრების შესახებ, საქველმოქმედო კონცერტი-აქციები, შემეცნებითი ბუკლეტების დამზადება მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები, ქუჩის აქციები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და სხვა. წლებია, ვმეგობრობთ ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლთან და ღამის თავშესაფართან, ტრადიციულად ვულოცავთ შობა-ახალ წელს და ვეხმარებით ტანსაცმლითა და საჭირო ნივთებით. 2014 წელს კლუბი დაჯილდოვდა საკლუბო ტექ-



ნიკის კომპლექტით წარმატებული მუშაობისათვის PN INTERACION-AL-ის (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო) დაფინანსებით. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მოსწავლეებში დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, უფლება-მოვალეობების გათავისებას. თანამედროვე მსოფლიოში დიდი როლი ენიჭება აქტიურ მოქალაქეს, რომელიც ენთუზიაზმით ერთვება საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარებაში. ამ უნარის ჩამოყალიბება ბავშვობიდან უნდა დაიწყოს. მოსწავლეებს ყოველთვის ვუხსნი, ვესაუბრები, რომ სამშობლოს სიყვარული იწყება საკუთარი სახლიდან, ეზოდან, ქუჩიდან, კლასიდან... უნდა გაუფრთხილდნენ და იზრუნონ გარემოზე, ეკოლოგიაზე, ერთმანეთს დაეხმარონ. საბედნიეროდ, ბოლო წლებში გაიზარდა ცნობიერება სამოქალაქო განათლების საგნის მიმართ და მშობლები შვილებთან ერთად სწავლობენ, ერთვებიან სასკოლო და არასასკოლო აქტივობებში. რაც უფრო ადრეულ ასაკში გააცნობიერებენ, რომ უფლებებთან ერთად გვაქვს მოვალეობებიც, მით მეტი შემდგარი მოქალაქე შეემატება ქვეყანას.

# პროექტი – „მოხალისეობა“

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**

*შუახევის მუნიციპალიტეტის ხიჭაურის საჯარო სკოლის მე-9 და მე-11 კლასების მოსწავლეები დირექტორ მზევინარ ქათამაძისა და პედაგოგ მალხაზ ტაკიძის ხელმძღვანელობით ჩართულნი არიან იუსაიდის სამოქალაქო განათლების პროგრამაში. პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა თვითმმართველობა ჩამოყალიბდა, რომელიც 20-მდე წევრს ითვლის. თვითმმართველობის თავმჯდომარეა ნინო გოგიაშვილი, სამოქალაქო კლუბის - გიგა ბერიძე. პროექტს „მოხალისეობა“ უწოდეს*

„მოხალისეებმა“ გადაწყვიტეს მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედების დახმარება. თანადგომისათვის შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძესა და საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ტაკიძეს მიმართეს. თვითმმართველობის წარმომადგენლები იმ სოციალური პროგრამებითაც დაინტერესდნენ, რასაც ადგილობრივი თვითმმართველობა წელს ახორციელებს.

მოსწავლეებს ამ ეტაპისთვის სოფელ ტაკიძეებსა და ზედაყანის დასახლებულ უბანში სამი ოჯახი ჰყავთ შერჩეული. აქციას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ჩართულობით განახორციელებენ.

- ჩვენი ვალია, „მოხალისეთა“ ამ წამოწყებას მხარი დავუჭიროთ. მოსწავლეები დაინტერესდნენ მარტოხელა დედებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობით. ჩვენი ჩართულობა პროექტს მეტ დატვირთვას მისცემს. მოსწავლეებთან ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება, - თქვა როსტომ ლორთქიფანიძემ.

